

სამედიცინო

№ 6 (43) 1.06.2015 - 1.07.2015

ფასი 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა



**დადიანების
უნიკალური
საგანძურის
სტუმრების სსსსლეუი**

16



**როგორ დაეხმარა
ვალერიან გუნია
დაბლაჯილ-
დაფლათილ
ვაჟა-ფშაველას**

10



**სიმონ
ჩიქოვანი**

4



**ჟან
პარდანი
სამედიცინო
შეხვედრა**

7



**სვირია
სიმონია
და „ბრძანა
ქალაქში
ნამდარია“**

13

**ბრონეულის სის
ჩრდილში
დავანებული
ქართული სული**

თეზიონის ხმა

ISSN 1987-8524

სრულიად საქართველოს სწავლება








7 771 987852 005



ଝାଞ୍ଚିଆ ଗୋଷ୍ଠୀର ସମୃଦ୍ଧ ସଂଗ୍ରହ ଝାଞ୍ଚିଆ ଗୋଷ୍ଠୀର ସଂଗ୍ରହ ଝାଞ୍ଚିଆ ଗୋଷ୍ଠୀର ସଂଗ୍ରହ



ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|---|--|
|  | მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა..... 2 |
|  | უცხოეთში მყოფი ქართველები სამშობლოში დაბრუნებას ნმინდა მეფე თამარს შეავედრებენ 3 |
|  | ბრონეულის ხის ჩრდილში დავანებული ქართული სული..... 4 |
|  | ჟან შარდენი სამეგრელოს შესახებ 7 |
| | როგორ დაეხმარა ვალერიან გუნია დაგლეჯილ-დაფლეთილ ვაჟა-ფშაველას 10 |
|  | ხვიჩა სიმონია და „ბრმათა ქალაქში ნამღერი“ 13 |
|  | შალვა ბერიძეს ნიკო მარმა ეთნოგრაფიული მასალების მეგრულად ჩანერა სთხოვა 14 |
|  | დადიანების უნიკალური საგანძური ხელოვნების სასახლეში 16 |
|  | გივი სიხარულიძე ძველი ტახტი..... 18 |

| | |
|---|---|
| | გმადლობთ, მზეო, თანადგომისთვის 19 |
|  | გენო კალანდიას ვულოცავთ იუბილეს 20 |
|  | ზუგდიდი სრულიად საქართველოს ამცნობს 22 |
|  | მარტვილი სრულიად საქართველოს ამცნობს 24 |
|  | ხობი სრულიად საქართველოს ამცნობს 26 |
|  | ნალენჯიხა სრულიად საქართველოს ამცნობს 28 |
|  | სენაკი სრულიად საქართველოს ამცნობს 30 |
|  | გაჭირვებაში გამონვთნილი შემოქმედის ცხოვრების გზა..... 34 |
|  | „ოქროს სანმისი“ და ძველი კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა ანუ რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი..... 36 |
|  | დაბრუნებული საუნჯე 38 |
|  | ახალი თეატრი და აღფრთოვა- ნებული მაცურებელი..... 40 |

მთავარი რედაქტორი —
ნინო რახვიაშვილი
ტელ: 599 74 68 10
დამფუძნებელი —
გიორგი გუტაშვილი
ტელ: 599 53 58 94
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარაცხელი
ტექსტი აანყო
თამარ გომინაძე
მისამართი: თბილისი, ლესელიძის
ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი „სამეგრელოს“ ემიგრანტ მეგრელებს
და არა მარტო მათ, გთავაზობთ თანამშრომლობის
პროექტს - გამოგვიგზავნეთ მასალები,
ფოტოსურათები, რითაც შეძლებთ მოეფეროთ
თქვენს მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე
დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.
ტელ: 599 74-68-10

მეირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება
სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!



წმინდა ნინოს სახელობის ფოკას მამათა მონასტერი

აქტიუდა, ნინო ათაბაგი აქტიუდა

მოციქულთასწორთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წმ. ნინოა. 12 წლის ასაკში მასზე უდიდესი ღვთის მადლი გადმოვიდა, დედაღვთისმშობელმა მას თავისი წილხვდომილი ქვეყნის განმანათლებლობა დააკისრა. საოცარია ღვთის მადლი და ნამდვილად, „საკვირველ არიან საქმენი“ მისნი, საკვირველია დედაღვთისმშობლის ნებასურვილიც, მსგავსად ძისა თვისისა... მან არათუ გამოცდილ და ზრდასრულ ადამიანს დაავალა საკუთარი წილხვდომილი ქვეყნის განმანათლებლობა, არამედ პატარა, სუსტ გოგოს, რომლის სულიერი მზაობა აღემატა მისი ფიზიკური შესაძლებლობების ზღვარს... მართლაც, რომ ძალი ღვთისა მის უძღურებაში სრულ იქმნა...



დღევანდელი დღე განსაკუთრებული უცხოობაში მყოფ ქართველთათვის, წმ. ნინოს ხსენებით, თითქოს თვალწინ გვიდგება ჩვენი, მრავალტანჯული ერის ისტორია... შევნატრით მის წარსულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც ...

რა შეგვიძლია ჩვენ დღეს მივაგოთ საქართველოს, იმ სიყვარულისა და სიკეთის წილ, რაც მან მოგვავო ჩვენ...?! როგორ მივუზღათ სიკეთე მას?!... როგორც მშობლების ვალს ვერასდროს გადაიხდის შვილი, რაც უნდა სიკეთე უკეთოს მან თავის მშობლებს მთელი ცხოვრება, ისე ჩვენც

ვერ მივაგებთ იმდენ სიკეთესა და სიყვარულს ჩვენს სამშობლოს, რაც მან მოგვავო ჩვენ... ეს არის უპირველეს ყოვლისა ჭეშმარიტი სარწმუნოება ქრისტიკა... აბა, წარმოვიდგინოთ, ჩვენ რომ სხვა ქვეყანაში დავბადებულებიყავით, ყველანი ვიქნებოდით მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმსარებელნი... ყველანი ვინამებდით ჯვარცმულ იესუს ღმერთად. გმადლობთ შენ, დაუცხრომელად, უფალო ღმერთო ჩვენო მოწყალებათათვის მხოლოდშობილისა ძისა შენისათა... გმადლობთ შენ, დედაო ღვთისავ, შენი წილხვდომილი ერის შვილები რომ ვართ! და გმადლობთ შენ, წმინდაო მოციქულთასწორო და ღირსო დედაო ჩვენო ნინო, რომელმან ქრისტეს ნათელით განანათლე სრულიად საქართველო!!!

წმ. ნინოს ლოცვით ღმერთმა დალოცოს, გაახაროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო!!! გილოცავთ ნინობას!!!

წმ. ნინოს ლოცვით ღმერთმა დალოცოს, გაახაროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო!!! გილოცავთ ნინობას!!!

წმ. ნინოს ლოცვით ღმერთმა დალოცოს, გაახაროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო!!! გილოცავთ ნინობას!!!

უცხოეთში მყოფი ქართველები სამშობლოში დაბრუნებას წმინდა მეფე თამარს შეავედრებენ



დასავლეთ ევროპის ეპარქიის მმართველის, მიტროპოლიტი აბრაამის (გარმელია) ლოცვა-კურთხევით უცხოეთში მყოფი ქართველებისთვის, მათ მეოხად და სამშობლოში დაბრუნების სიმბოლოდ შეიქმნა წმინდა მეფე თამარის ხატი. ხატის შექმნაში მონაწილეობა მიიღო დასავლეთ ევროპაში არსებულმა ყველა ქართულმა სამრევლომ. შეგროვდა შემოწირულობანი, რის საფუძველზეც ხატი ათონის წმინდა მთაზე, კარიესში, მთავარანგელოზის სენაკში დანერა ბერმა პაისიმ. ასევე დამზადდა ხატისთვის საგანგებო ჩასაბრძანებელი.

ხატის წამოსაბრძანებლად ათონზე გაემგზავრნენ უცხოეთში მოღვაწე მოძღვრები — არქიმანდრიტი ანტონი (კანდელაკი) და არქიმანდრიტი მოსე (ჭანკვეტაძე), თანმლებ პირებთან ერთად.

30 ოქტომბერს ხატი იტალიაში, ბარში ჩაასვენეს და წმინდა ნიკოლოზის საფლავზე დააბრძანეს, სადაც მამა ანტონმა და მამა მოსემ საზეიმო წირვა აღასრულეს. ღვთისმსახურებას ბარის სამრევლოს მრავალრიცხოვანი მრევლი დაესწრო.

მიტროპოლიტი აბრაამის ლოცვა-კურთხევით, თავდაპირველად, ხატი დასავლეთ ევროპის ეპარქიას

მოივლის და ყველა სამრევლოში თითო კვირას დაჰყოფს.

ბარის სამრევლოს შემდეგ ხატი რომში გადაბრძანდება, შემდეგ — რომის მახლობლად მდებარე ქ.ფაბრიკა დი რომა, სადაც ბევრი ქართველი ცხოვრობს. იტალიიდან ხატს ესპანეთში გადააბრძანებენ — კერძოდ, ბარსელონაში, არნედოსა და ვიტორიაში, შემდეგ გერმანიისა და ავსტრიის ქალაქებში — მიუნხენში, ვენაში, დიუსელდორფში, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელი, საიდანაც საფრანგეთში გადაასვენებენ — ჯერ სტრასბურგში, ბოლოს პარიზში — წმინდა თამარ მეფის საკათედრო ტაძარში, რითაც ხატის მოგზაურობა ეპარქიაში დასრულდება. საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვას აღასრულებს დასავლეთ ევროპის მმართველი, მიტროპოლიტი აბრაამი სამღვდლოებასთან ერთად. წმინდა მეფე თამარის ხატი პარიზის სამრევლოში კიდევ ერთი კვირა იქნება დაბრძანებული, რის შემდეგაც მას საქართველოში წამოაბრძანებენ და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში დაასვენებენ, რომელთანაც უცხოეთში მყოფ ჩვენ თანამემამულეთა ოჯახის წევრები, აღავლენენ ლოცვას საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა სამშობლოში დაბრუნებისათვის.



მოხუცის ხის ჩრგალში ჯავახიშვილის ქონების სახლი

გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ჩიქოვანი დაიბადა 1902 წლის 27 დეკემბერს აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოში. პოეტმა სწავლა ჯერ თავის სოფელში დაიწყო. პოეტის მამა – ივანე ჩიქოვანი განათლებული კაცი იყო. მისი ოცნება ყოფილა, შვილი სამთო ინჟინერი გამოსულიყო, მაგრამ სულში ჩამარხულმა პოეტურმა მადლმა სულ სხვაგვარად წარმართა სიმონის ცხოვრება. დედა ჩიქოვანს დაბადების წელსვე გარდაეცვალა. დედისადმი მიძღვნილ ლექსებში ღრმა გულისტკივილით იგრძნობა ბავშვობაში განუცდელი მშობლიური აღერსის მონატრება. კიდევ უფრო ტრაგიკულად განიცადა პოეტმა დის ნაადრევი გარდაცვალება. ყოველივე ეს, ოჯახურ ხელმოკლეობასთან ერთად, ფრთებს კვეცდა და თრგუნავდა მომავალი პოეტის ბავშვურ სილალეს. ამიტომაცაა, რომ ბავშვობის დროინდელ მოგონებებს მის შემოქმედებაში ხშირად ახლავს ხოლმე მართალი ადამიანური სევდა და თავისებური სამედურავი ნუთისოფლისადმი: „სად დავიბადე, უნდო ბედმა რა გამატანა, სული მწყურვალი და მათარა ძლიერ პატარა“.

ნაადრევად დაობლებული პოეტის აღზრდის საქმეში დიდი როლი შეასრულეს ბებიამ და ძიძამ. ბავშვობის წლები მან ძირითადად მეზობელ სოფელ ტყვირში გაატარა, ბებიასთან, რომელიც კარგად იცნობდა ქართულ მწერლობას და გატაცებით ესაუბრებოდა შვილიშვილს მის შესახებ. თავის პოეტურ გატაცებას სიმონ ჩიქოვანი უპირველეს ყოვლისა უახლოეს წინაპართა ლიტერატურულ ინტერესებს უკავშირებდა “ჩემი გვარეულობა, – წერდა ერთგან იგი, – ცნობილი იყო ოჯახური პოეტებით – ბევრი ჩემი წინაპართაგანი ლექსად აწარმოებდა მიწერ-მოწერას და მე ვფიქრობ რომ პოეზიისადმი მიდრეკილება ჩამესახა ბავშვობაში, საკუთარ ოჯახში”.

1914 წელს სიმონი ქუთაისის რეალურ სასწავლებელში შედის. ხელმოკლეობის გამო, ზაფხულობით სოფელში ამუშავებდა მინას და ასწავლიდა მეზობლის ბავშვებს. ასე აგროვებდა ფულს სწავლის გასაგრძელებლად. 1917 წელს სიმონ ჩიქოვანს მამა გარდაეცვალა. მამის სიკვდილით გამოწვეულმა ტკივილმა სათანადო პოეტური



სიმონ
ჩიქოვანი

ასახვა ჰპოვა მისადმი მიძღვნილ ლექსში.

მძიმე მატერიალური პირობების მიუხედავად, რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდგომ, 1921 წელს პოეტი თბილისის უნივერსიტეტში შედის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სწავლის პარალელურად იგი მუშაობდა წითელი არმიის ქართული ნაწილების პოლიტგანყოფილებაში, გაზეთის რედაქციასა და კლუბში. 1922 წელს, თანამოაზრეებთან ერთად, ს. ჩიქოვანმა ჩამოაყალიბა ფუტურისტული ლიტერატურული ჯგუფი და გამოსცა ქართული ფუტურიზმის პირველი საპროგრამო მანიფესტი – “საქართველო – ფენიქსი”. 1924-28 წლებში მისი აქტიური თანამონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გამოვიდა ქართული ავანგარდისტი მწერლების პერიოდული ორგანოები: “2მ4, “ლიტერატურა და სხვა”, “დროული”, და “მემარცხენეობა”. ჩიქოვანი მუშაობას იწყებს ახალდაარსებული ჟურნალის-“მნათობის” რედაქციაში.

1928 წლიდან, ფუტურისტების ლიტერატურული ჯგუფის დაშლის დროიდან, ს. ჩიქოვანი

ენერგიულად ებმება საქართველოს მწერალთა კავშირის საქმიანობაში და გარდაცვალებამდე მისი ხელმძღვანელი ორგანოების უცვლელი წევრის იგი ინიშნება გამომცემლობა “საბჭოთა მწერალის” მთავარ რედაქტორად. 1944-51 წ. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. 1954-60 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ “მნათობს”. ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ს. ჩიქოვანი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და პრემიებით. მათგან, პირველ ყოვლისა, უნდა გამოიყოს სახელმწიფო პრემია, რომელიც 1947 წელს მიენიჭა პოემისათვის “სიმღერა დავით გურამიშვილზე” და ლექსებისათვის; “ვინა სთქვა”, “ქართლის საღამოები”, “გამარჯვების ზეიმი” და “გორი”. ს. ჩიქოვანი იყო ახალგაზრდა მწერალთა გზის გამკვალავი და აქტური თანამდგომი. მისი ხელშეწყობითა და უშუალო მზრუნველობით არაერთი ნიჭიერი შემოქმედი გამოვიდა დიდი ლიტერატურულ ასპარეზზე.

სხედან: მიხეილ ჯავახიშვილი, არისტო ჭუმბაძე, ტიცინ ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, დემნა შენგელაია, ვანო ნულუკიძე, შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი, დგანან: ბესარიონ ჟღენტი, იოსებ გრიშაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კარლო კალაძე, გიორგი ქუჩიშვილი, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის კონგრესი, ბაქო 1928 წ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ს. ჩიქოვანისა და მისი მეუღლის მარიკა ელიავას ურთიერთობა. მარიკა ელიავა თავისებური, დაუფინყარი სილამაზისა იყო. იგი აღსავსე იყო სინაზითა და ქალური, საამო მომხიბვლელობით, მაგრამ არც სიმამაცე-სიმტკიცეს იყო მოკლებული, რაც მას და მის საყვარელ სიმონს ძალას მატებდა მძიმე განსაცდელის უამს. ინტელიგენტურობა, განსწავლულობა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ლიტერატურაში, ბუნებრივი გემოვნება და ტაქტი, უმნიკვლო სამართლიანობა და პოეტურობა – მისი ბუნების ამ თვისებებმა აქციეს მარიკა არა მარტო პირველ მსმენელად, არამედ მრჩეველად და მისი შემოქმედებითი მიღწევების თანამონაწილედ. ისინი მართლაც რომ ბედნიერები იყვნენ.



სხედან: მიხეილ ჯავახიშვილი, არისტო ჭუმბაძე, ტიცინ ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, დემნა შენგელაია, ვანო ნულუკიძე, შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი, დგანან: ბესარიონ ჟღენტი, იოსებ გრიშაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კარლო კალაძე, გიორგი ქუჩიშვილი, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის კონგრესი, ბაქო 1928 წ.

ავბედით 1937 წელს დააპატიმრეს მარიკას მამა ნიკო ელიავა, ძმა ზურაბი და რძალი თინა. მათი ვაჟიშვილი ნიკა აღსაზრდელად მარიკამ და სიმონმა აიყვანეს. მათ ოფიციალურად გააფორმეს შვილად აყვანა, რათა ხუთი წლის ბავშვისათვის ჩამოეცილებინათ “ხალხის მტრის” შვილის დამლა.

1962 წლის აგვისტოში მარიკას აღმოაჩნდა ავთვისებიანი სიმსივნე. მან გაიკეთა ოპერაცია და გაიარა მკურნალობის სათანადო კურსი, მაგრამ მეტასტაზი უკვე ხერხემალში იყო გასული.

მარიკას კრიზისული მდგომარეობის დროს, დიაბეტით დაავადებული სიმონის მხედველობა კატასტროფულად გაუარესდა – პრაქტიკულად იგი დაბრმავდა.

მაგრამ, ამისდამიუხედავად, მისი შემოქმედებითი შთაგონება კი არ დაიშრია, არამედ, პირიქით, პოეტური სიმნიფის ახალ სტადიაში შევიდა. ამისი დადასტურებაა ის შესანიშნავი ნაწარმოებები, რომელიც ამ პერიოდში შექმნა პოეტმა.

მარიკა უსიტყვოდ ითმენდა აუტანელ ტკივილებს, არც კი კვნესოდა. რათა სიმონს თავისი მეტად გამახვილებული სმენითა და ინტუიციით არ გაეგო და არ ეგრძნო მისი ტანჯვა-წამება. ექიმებმა შეძლეს მარიკას ჯანმრთელობის დროებითი გაუმჯობესება და 1964 წლის მარტში იგი ფეხზე წამოდგა. მარიკა ყოველთვის შესისხორცებული იყო სიმონის შემოქმედებით ცხოვრებასთან, ხოლო პოეტის ავადმყოფობისას სულ უფრო განუყრელი გახდა.

სიმონ ჩიქოვანი გარდაიცვალა 1966 წლის 22



მარიკა და სიმონ ჩიქოვანი

აპრილს. იგი დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთანმინდის პანთეონში.

სიმონის გარდაცვალების შემდეგ, მარიკას სანამ შეეძლო ადიოდა მთანმინდაზე და უვლიდა თანამეცხედრის სასუფეველს. მომაკვდავმა ითხოვა, მისი გვამის კრემაციის შემდეგ ფერფლი სიმონის საფლავზე მიმოებნიათ. ეს თხოვნა შეუსრულეს. პოეტის საფლავზე დარგული ბრონეულის ხის ფესვებს ქვეშ ჩადგეს მარიკას ფერფლის პატარა ურნა.

1941 წელს, მცხეთაში არქეოლოგიური გათხრებისას, გახსნეს პიტიახშის საფლავი. აღმოჩნდა: ბრონეულის ხის ფესვს გაერღვია სერაფიტას სამარხი და სამაჯურში გასულიყო. ამ ამბავს პოეტმა უძღვნა ლექსი “ბრონეული პიტიახშის სამარეზე” და ინატრა:

მოწეულა ბროწეულა, გადმოფრინდი,
შენი რტო და შენი ჩრდილი დამაფარე.

აუხდა პოეტს სურვილი,—მის საფლავზე დარგულია ბრონეულის ხე. საფლავის მარმარილოს ფილის შუაში მოხრილი ისარია, რომელიც ელვას ასახიერებს და პოეტის მხედველობის უეცარ დაკარგვას გამოხატავს.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში ძირითადი და მთავარია სამშობლოს სამშობლოს თემა. პოეტმა თითქმის მთელი საქართველო შემოიარა.

იყო ხევსურეთში, სვანეთში, რამაც შთააგონა პოეტს ლექსების ციკლი: “შემოდგომა ხახმატში”, “უშგული”, “სვანური იავნანა”. ამ კუთხეებში მოგზაურობა დაემთხვა პოეტის გარდაცემის პერიოდს, რომელსაც სიმონმა “ფერისცვალება” უწოდა. “ეს არის სიყრმის და სიმწიფის შორის შესვენების და სიმორცხვის ჟამი”.

გარდაცემის პერიოდთან დაკავშირებით ს. ჩიქოვანს უბნის წიგნაკში ჩაუწერია: “ჩემი ნამდვილი არსებობა დაიწყო მას შემდეგ, რაც დაიწერა ლექსები: „წვიმაში“, „უშგული“, „მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“, “თეიმურაზ პირველი”, „განშორება“, “შენი ჩრდილის საძებნელად”.

„ფერისცვალების“ შემდეგ, სიმონ ჩიქოვანი ჩამოყალიბდა როგორც ბუნების მესაიდუმლე,



ბრონეული, გადმოფრინდი, შენი რტო და შენი ჩრდილი დამაფარე.

ცხოვრებისეული სინამდვილის ღრმად შემგრძნობი შემოქმედი. პოეტი წარსულს გადმოგვცემს თანამედროვე ადამიანის განცდით. ალბათ ამიტომ იყო, რომ გიორგი ლენინიძემ სიმონ ჩიქოვანს უწოდა „ახალი პოეზიის ჩუქურთმის მჭრელი“, ხოლო კონსტანტინე გამსახურდიამ შენიშნა – სიმონ ჩიქოვანი გამოირჩევა ლექსური ინსტრუმენტის ვირტუოზული ორკესტრებითო.

სიმონ ჩიქოვანი უსაზღვროდაა შეყვარებული ქართულ ლექსზე. იგი თავყვანს სცემს ქართულ სიტყვას. ქართული სიტყვა თავთავია, ხილია, ნაყოფია, იგი მტევანია. ქართული სიტყვა უკვდავია. იგი სულის სასწორზე ავწონეო – ამბობს პოეტი.

პოეტის შემოქმედების დაგვირგვინებაა პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, რომელშიაც გულის დიდი სითბოთი და ღრმა განცდით დახატა დიდებული წინაპრის სახე.

სიმონ ჩიქოვანი დაძაბულ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა მაშინაც კი, როცა უკურნებელი სენით დაავადებულმა მხედველობა დაკარგა. ავადმყოფობის დროს დაიწერა პოეტის შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში “განჯის დღიური”, რომელიც დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიეძღვნა.



ჟან შარდენი სამეგრელოს შესახებ

ჟურნალი „სამეგრელო“ აგრძელებს ციკლს „მოგზაურის ჩანაწერები“, სადაც გაგაცნობთ შარდენისეულ აღწერას სამეგრელოსა და მეგრელების შესახებ.

გზა პარიზიდან სამეგრელომდე, ჟან შარდენის მოგზაურობა, რომელიც 10 ნაწილისაგან შედგება. I ნაწილი სიცოცხლეშივე გამოიცა ლონდონში, 1686 წელს.

1672 წლის 19 ივლისს ბერძენმა ვაჭარმა, რომელიც სამეგრელოში უნდა გამყოლოდა, შემატყობინა, რომ ჩვენი გემი შავ ზღვაში გასვლას აპირებს და მხოლოდ ამინდს ელოდებაო. მე გადავწყვიტე მაშინვე ავსუღიყავი გემზე, მაგრამ მეგობრებმა მირჩიეს დამეცადა, ვიდრე გემის გასამგზავრებლად მომზადება არ დამთავრდებოდა, რადგანაც როგორც ისინი ამბობდნენ, შეიძლება გამჟღავნებულიყო, რომ ფრანგი ვიყავი. ამიტომ სამი დღე გვატარე ბოსფორში, გენუის რეზიდენტის გრაფ სინიბალდი ფიესკის ქალაქგარეთა სახლში, ხოლო შემდეგ ოთხი დღე ვიყავი არხის ბოლოში, ევროპის მხარეს მდებარე მშვენიერ ბერძნულ მონასტერში, იმ ნავსადგურის პირდაპირ, სადაც ჩვენი გემი ქარს ელოდებოდა ასე აღწერს შარდენი სამეგრელოში შემოსვლას.

ლომი

მეგრელების ჩვეულებრივ საკვებ მარცვლეულს წარმოადგენს ლომი. მისი მარცვალი ისევე წმინდაა, როგორც ქინძის კაკალი და რამდენადმე წასაგავს ფეტვს. მას გაზაფხულზე თესავენ ისეთივე წესით, როგორც ბრინჯს. მიწას წააყრიან. ამ მარცვლეულიდან აღმოცენდება ცერის სიმსხო და ადამიანის სიმაღლის ღერო, რომლის ბოლოს არის სამასზე მეტმარცვლიანი თავთავი. ღომის ღერო შაქრის ღერნამს წააგავს. ღომის მაცვალს ოქტომბერში მოიწვევენ და მაშინვე მალა და მზიან ადგილზე დასობილ მესერზე ჰკიდებენ გასაშრობად. იგი ოცი დღე შრება მესერზე, შემდეგ კი კონებად კრავენ. ცხევავენ მხოლოდ მოხარშვის წინ;

ხარშავენ მხოლოდ მაშინ, როცა ჭამის დრო დადგება; იგი უგემურია და მიძიმეა მოსანელებლად; იხარშება ძალიან მალე, ნახევარ საათზე ნაკლებ დროში. როდესაც წყალი, რომელშიც ღომია ჩაყრილი, იწყებს დუღილს, მას ნელა ურევენ პატარა ხის ნიჩბით და თუმცა ურევენ ძალიან მსუბუქად, იგი მაინც სქელ ფაფად იქცევა. როცა ყველა მარცვალი დაიშლება და ფაფა კარგად შეიზილება, ცეცხლს ამცირებენ. დაბალ ცეცხლზე წყალი ამოშრება და ფაფა ქვაბში მშრალი რჩება.

ეს ფაფა ძალიან თეთრია; ზოგჯერ მას თოვლივით თეთრს აკეთებენ; სუფრაზე შემოაქვთ საგანგებოდ გაკეთებული ხის პატარა ნიჩბით. თურქები ამ პურს უწოდებენ „პასტას“, მეგრელები კი „ღომს“. მას ადვილად იღებენ თითებით. იგი გამაგრებელია და კუჭში გამხსნელი, არც ცივი და არც გაცხელებული საჭმელად არ ვარგა. ჩერქეზები, მეგრელები, თურქეთის მოხარკე ქართველები, აფხაზები, კავკასიის მცხოვრებლები, ყველა ისინი, ვინც შავი ზღვის სანაპიროზე მეოტიდის ჭაობის სრუტიდან ტრაპიზონამდე ცხოვრობს, მხოლოდ და მხოლოდ ამ ფაფით იკვებება; ეს არის მათი პური, სხვა მათ არა გააჩნიათ რა. ისე არიან შეჩვეული ღომს, რომ ხორბლის პურსაც კი ამჯობინებენ. ეს შევამჩნიე ამ მხარის უმეტეს ქვეყნებში; მე ეს არც მიკვირს, რადგანაც, როდესაც მდგომარეობამ მაიძულა ეს ინგლისური პუდინგი — მისი შედარება თავისუფლად შეიძლება პლუმ-პუდინგთან — საკვებად გამოიყენებინა, იმდენად მომეწონა, რომ შემდეგში ძალიან გამიჭირდა კვლავ ჩვეულებრივ პურზე გადასვლა. თავს კარგად ვგრძნობდი და წინანდელთან შედარებით მოვიკეთე კიდევაც. სომხეთსა და საქართველოში ბევრი წარჩინებული თურქი და ქართველი მინახავს, მათ შორის თბილისის მთავარი და ახალციხის ფაშაც, რომელთაც შემოჰქონდათ ეს მარცვლეული და სიამოვნებით მიირთმევდნენ. მისი ჭამის დროს აუცილებელია წმინდა ღვინის სმა, რათა



ლომის გამაგრებელი და კუჭში გამსხნელი თვისება შენელებს. ამას ლომის მჭამელები სიამოვნებით ასრულებენ.

მარცვლეული

გარდა ლომისა, სამეგრელოში მოჰყავთ დიდი რაოდენობით ფეტვი, უფრო ნაკლებად, ხორბალი, ქერი კი ძალიან მცირე რაოდენობით. ხორბლის პურს მხოლოდ შეძლებულები ჭამენ, როგორც დელიკატესს, მდაბიო ხალხმა მისი გემოც არ იცის.

ჩვეულებრივი ხორცეული ამ ქვეყანაში არის ძროხისა და ღორის ხორცი. ღორის ხორცი, აქ დიდი რაოდენობითაა და ხარისხით საუცხოოა. ვერსად სხვაგან უკეთეს ხორცს ვერ იგემებ. არის აგრეთვე თხის ხორციც, მაგრამ ძალიან მჭლე და უგემურია. შინაური ფრინველი ძალიან კარგია, მაგრამ ძლიერ ცოტაა. ჩემი აქ ყოფნის დროს ფრინველის შოვნა სრულებით არ შეიძლებოდა, ომიანობ ამ ქვეყანა გააჩანაგა. თევზი მხოლოდ დამარილებული იშოვება, ძირითადად თინუსი და მცირე რაოდენობით სხვა ჯიშისა და ისიც თურქეთიდან შემოაქვთ წლის განსაზღვრულ დროს. ნანადირევიდან სამეგრელოში ჭამენ გარეულ ღორს, ირემს, შველსა თუ კურდღელს; ეს ხორცი ძალიან გემრიელია და უკეთესს ვერაფერს შეჭამს კაცი. დიდი რაოდენობით არის კაკაბი, ხობობი და მწყერი, ზოგიერთი წყლის ფრინველი, გარეული მტრედი, რომელიც ძალიან გემრიელი და მსუქანია, როგორც მარცვლეულით ნაკვები ვარიები. მე მინახავს როგორ შიგნავენ მათ და აცლიან რვა თუ ათ ჯირკვალს, რამაც მე ძალიან გამაკვირვა. მეგრელები ამ მტრედებს ბადეებით იჭერენ. შემოდგომაზე ბევრის დაჭერა შეიძლება; ზამთარში კი ისინი კავკასიის მთებში მიფრინავენ.

ნადირობა

სამეგრელოს დიდებულნი მხოლოდ ნადირობას ეწევიან. ძირითადად ნადირობენ მტაცებელი ფრინველებით, რომელთაც იშინაურებენ და შემდეგ სანადიროდ იყენებენ. დარწმუნებით შეიძლება

ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც ასეთი რაოდენობით შეიძლება იყოს მტაცებელი ფრინველი: შევარდენი, მიმინო და სხვა, როგორც ეს სამეგრელოშია. ეს ფრინველები კავკასიის მთებში ვარდებიან; აქ მათ დიდი რაოდენობით იჭერენ და ხუთ-ექვს დღეში იშინაურებენ.

სამეგრელოში ბევრია კარგი ჯიშის ცხენი. მათ დიდი რაოდენობით აშენებენ, რადგანაც მათი გამოკვება არაფერი უჯდებათ. ჩამოქვეითებისთანავე, ცხენს ხსნიან უნაგირს და აღვირს და უშვებენ საძოვრად. ცხენებს არ ჭედავენ. ცხენები მხოლოდ და მხოლოდ საძოვრებზე იკვებებიან.

ხის სახლი სამეგრელოში

სამეგრელოში ყველა სახლი ხისაა, რადგან ტყე ყველგან ძალიან ახლოსაა და მშენებლობა ძალიან იაფი ჯდება, ღარიბების სახლები ერთსართულიანია, დიდებულებისა კი ორსართულიანი. ძირს ყოველთვის ფიცარნაგია გაკეთებული დასაწოლად და დასაჯდომად, მიწის დიდი სინოტივის გამო. დიდებულები ნოხებზე სხდებიან, სხვები კი — ჯორკოზე. სახლები მეტად მოუნწყობელია, მათ არა აქვთ არც ბუხრები და არც ფანჯრები; ცეცხლი შუაგულში ანთია; დღის შუქი კარებიდან შემოდის. სახლებს საძირკველი არა აქვს და ქურდები შიგ ადვილად ძვრებიან. ისინი ხვრელს აკეთებენ ქვედა სართულის პირველი კოჭის ქვეშ, რომელიც სხვებს ამაგრებს და აქედან შედიან სახლში. როგორც კი გაიგონებენ ხმაურს, ასევე იოლად გამოდიან გარეთ. ეს გარემოება აიძულებს გლეხებს, რომ თითოეულ ოჯახს ჰქონდეს ერთი დიდი სათავსო; აქ ინახავენ მთელ ავლა-დიდებას მარცვლეულისა და ზოგჯერ ღვინის გარდა. აქვეა დარბაზი სადაც ოფიციალური მიღება და სადავო საკითხების გარჩევა წარმოებს; ეს ეზოები კი, როგორც მათ უწოდებენ, წარმოადგენენ მესერით ან ლობით შემოფარგულულ ღია ადგილს.

მეგრელები ძალიან კარგი ჯიშის ხალხია; კაცები კარგი აღნაგობისა არიან, ქალები კი ძალიან ლამაზები. მაღალი წრის ქალებს რაღაც თავისებური ნაკვთები

და სინაზე აქვთ, რაც გვიბლავს. მე შემხვედრია მათ შორის მშვენიერი აღნაგობის ქალები, დიდებული იერით, საუცხოო სახითა და ტანით. გარდა ამისა, მათ აქვთ ისეთი მიმზიდველი და ალერსიანი გამოხედვა, რომ მაყურებლისგან თითქოს ტრფიალს ითხოვენ. ნაკლებად ლამაზები და ხანდაზმულები გადაჭარბებით ხმარობენ ფერუმარულს, იღებენ მთელ სახეს, წარბებს, ლოყებს, შუბლს, ცხვირს და ნიკაპს; ზოგიერთი მარტო წარბების შეღებვით კმაყოფილდება; ირთვებიან რამდენადაც კი შეუძლიათ. მათი ტანსაცმელი სპარსელი ქალების ტანსაცმელს ჩამოგავს. თმის დავარცხნა და დახვევა ევროპული ქალების მსგავსად იციან. ატარებენ ხილაბანდს, რომელიც მხოლოდ თავის ზევითა და უკანა ნაწილს ფარავს. არიან ჭეშმარიტად გამჭრიახნი და გულთბილნი, მაგრამ ამავე დროს არიან ამაცნი, ქედმაღალნი, ბოროტნი, დაუნდობელნი, უღმობელნი და უტიფარნი... სიმართლე რომ ითქვას, მეშინია, ვაი თუ არ დაიჯეროს მკითხველმა და ჩემ მიერ ნაამბობი გადაჭარბებულად ჩათვალოს. ვაცხადებ, რომ ეს სრული სიმართლეა და აქ მოტანილი ფაქტები დაასაბუთებენ ჩემს ნათქვამს.

იარაღი

მეგრელების იარაღია: შუბი, მშვილდ-ისარი, მოუხრელი სწორი ხმალი, კომბალი, ფარი; ცეცხლსასროლ იარაღს ცოტანი თუ ხმარობენ. ისინი კარგი მეომრები და კარგი მხედრები არიან. ძალიან დახელოვნებული არიან შუბის ხმარებაში. მშვილდ-ისრის სროლას ოთხი წლიდან ასწავლიან ბავშვებს, რომლებიც ისე კარგად ეუფლებიან მას, რომ გაფრენილ პატარა ჩიტსაც კი ახვედრებენ ისარს.

ტანსაცმელი

მათი ტანსაცმელი თავისებურია; წვერს ყველა მოკლედ იკრეჭს, გარდა სასულიერო წოდების წარმომადგენლებისა. მრგვალად იპარსავენ თავის კორტოსს, დანარჩენი თმები, აგრეთვე, მრგვალად შემოპარსული და ჩამოზრდილი აქვთ თვალებამდე. თავზე იხურავენ პატარა, თხელი ნაბდის არაჩხინს, რომლის კიდეები კბილანებით არის შეჭრილ-შემოჭრილი. ზამთარში ატარებენ ბენვის ქუდს. ისინი ისეთი საწყალობელნი და გაჭირვებულნი არიან, რომ წვიმის დროს არაჩხინს ან ქუდს ჯიბეში იღებენ, რომ არ გაუფუჭდეთ და ჩამოშვებული პერანგი, რომელიც ვინრო შარვალში აქვთ ჩატანებული. უარესი ჩაცმულობა ქვეყნიერებაზე არ არსებობს. ქამარზე ატარებენ რამდენიმე წყრთის სიგრძის თოკს იმ ადამიანებისა და საქონლის დასაბმელად, რომელსაც სტაცებენ მეზობლებს ან ხელთ იგდებენ ომში. დიდებულებს აქვთ ოთხი თითის სიფართის, ვერცხლის ფირფიტებით შემკული ტყავის ქამარი, რომელზედაც

ჰკიდათ დანა, სალესი, ქვა, კვესი და სამი ტყავის ქისა — ერთში მარილია, მეორეში პილპილი და მესამეში სადგისი, ნემსი და ძაფი. ღარიბი ხალხი თითქმის შიშველი დადის. ისინი უმაგალითო სილატაკეს განიცდიან. უმრავლესობა სხეულის დასაფარავად მხოლოდ მდარე ხარისხის ნაბადს ატარებს. ეს ნაბადი რომელიმე ძველებურ ქლამიდას მოგვაგონებს, უყრიან თავს და ატრიალებენ სურვილისამებრ იმ მხარისკენ, საიდანაც მოდის წვიმა და ქარი, რადგანაც იგი სხეულის მხოლოდ ერთ ნაწილს ფარავს და მხოლოდ მუხლებს სწვდება. აკეთებენ თხელ, წყალგაუმტარ ნაბდებს, რომელიც უფრო მსუბუქია ჩვეულებრივ ნაბადზე, მაგრამ შემანუხებელია, განსაკუთრებით როცა დასველდება. თუ კაცს პერანგი და მისი ამხანაგი აქვს, მდიდრად ითვლება. თითქმის ყველა ფეხშიშველი დადის; კოლხების (მეგრელების) ფეხსაცმელი კამეჩის დაუმუშავებელი ტყავისაა. ეს ლანჩა მიმაგრებულია ფეხზე იმავე ტყავის თასმით, რომელიც ზევით იკვრება. ამგვარი სანდლები სრულიად ვერ იცავს ფეხს სისველისგან; ფეხი ისე სველდება, თითქოს შიშველი იყოს.

მეგრელები და მათი მეზობლები ღვინოს ბევრს სვამენ. ისინი ღვინის სმაში აჭარბებენ გერმენელებს და ყველა ჩრდილოელს ღვინოში წყალს არასდროს ურევენ. კაცი და ქალი სუფთა ღვინოს სვამენ. შეზარხოშებულებს ნახევარლიტრიანი თასები ეპატარავებათ და პირდაპირ ლანგრიდან და დოქებიდან სვამენ. მე ვცხოვრობდი ქუთაისის ახლოს, ერთ აზნაურთან, რომელიც ამ მხარეში საუკეთესო მსმელად ითვლებოდა. ჩემი იქ ყოფნის დროს, მან წვეულება მოაწყო და თავისი სამი მეგობარი დაპატიჟა. ოთხივე ისე შეყვა ღვინოს, რომ დილას ათი საათიდან საღამოს ხუთ საათამდე საპალნე-ნახევარი ღვინო დალიეს. ერთი საპალნე იტევს სამას გირვანქას. ამ ხალხს ჩვეულებად აქვს ნადიმის დროს სუფრიდან ადგომა ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რამდენჯერაც უნდათ... სტუმრებს და მეგობრებს აიძულებენ სვან, ერთმანეთს მიმართავენ ზრდილობითა და ქათინაურებით...

ზემოთ ავღნიშნე, რომ მეგრელი ქალები ქათინაურებისა და ცერემონიების მოყვარულნი არიან-მეთქი. ასეთივე არიან მამაკაცებიც. უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ პირს ქალიც და კაციც მუხლმოდრეკილი ესალმება. როდესაც რაიმე ამბავი საპატიო პიროვნებას მოაქვს ან გამოგზავნილია წარჩინებული ადამიანისაგან, მას მიწაზე ნოხს უგებენ იმ კაცის წინ, ვისთანაც ამბავი მიაქვს. მოსული ნოხზე მუხლს მოიდრეკვს და ამ მდგომარეობაში რჩება მთელი დარბაზობის განმავლობაში, როგორც მე ამის შესახებ ვილაპარაკე. იგივე ხდება რაიმე სასიამოვნო ამბის შეტყობინების დროს.

გაბრკალება შენგა ნოხარში

როგორ დაესაჩივრა ვალერიან გუნია დაგდაჯიდ-დაფდათიდ ვაჟა-ფშაველას



ვალერიან გუნიას შესახებ ბევრ საინტერესო ინფორმაციას ინახავს ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდის კოლექციებში დაცული წიგნები. დღევანდელ ინტერვიუში სწორედ ამ წიგნებზე და დიდი ქართველი მოღვაწის ბიოგრაფიულ დეტალებზე გვესაუბრება ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდის მთავარი სპეციალისტი **ნინო ხვედელიძე**.

– ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში დაცულ ილია ჭავჭავაძის პირადი კოლექციის წიგნებსა და ჟურნალებს შორის მრავლადაა მისადმი მიძღვნილი სასაჩუქრო ეგზემპლარი. ამ წიგნების უნიკალურობაზე ავტორთა, შემდგენელთა, გამომცემელთა თუ დამკვეთთა მინაწერები მეტყველებს. რამდენიმე მათგანს ვალერიან გუნიას ავტოგრაფი ამშვენებს: „თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს შემდგენელისაგან“; „თავად ილია ჭავჭავაძეს ავტორისაგან“; „დიდ ილიას პატარა ვალერიან

გუნიასაგან“... – ეს გუნიასეული „საქართველოს კალენდრის“ რამდენიმე ეგზემპლარია.

– როგორც ჩანს, ამ ორ პიროვნებას მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდათ.

– ილიასა და ვალერიანს დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. ვალერიან გუნია ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტი მოღვაწე და ილია ჭავჭავაძის ღირსეული თანამებრძოლი იყო. თანამედროვეებმა მას „თეატრის ილია“ შეარქვეს. ვალერიანი ჭავჭავაძეების ოჯახის მეგობარი და იქ გამართული „ხუთშაბათობებისა“ თუ „ილიაობების“ სასურველი სტუმარი გახლდათ. ილიამ ვალერიანი თანამშრომლად მიიწვია ჯერ „ივერიაში“, სადაც წერილებსა და რეცენზიებს „ვალიკო-... იას“ ფსევდონიმით ბეჭდავდა, მოგვიანებით კი სათავადაზნაურო ბანკში. 1907 წელს, როცა წინამურში თავზარდამცემი ტრაგედია დატრიალდა და დიდი ილია მოკლეს, საზღვარი არ ჰქონდა ვალერიან გუნიას წუხილს. იგი ილიას დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს. დაკრძალვის დღეს მან გოდებით სავსე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა. შავი ტანსაცმლით შემოსილი ვალერიანი წინ მიუძღოდა პროცესიას, რომელსაც მთელი საქართველო მიჰყევებოდა.

– თავად ვალერიან გუნიას შესახებ რას გვიამბობთ?

– შესანიშნავ მსახიობს, რეჟისორს, დრამატურგსა და მთარგმნელს, ვალერიან გუნიას, დიდი ღვაწლი მიუძღვის არა მარტო ქართული დრამატული თეატრისა და კინოს, არამედ ქართული ჟურნალისტიკისა და საგამომცემლო საქმის განვითარებაში. მისი თანამშრომლობა ბეჭდურ სიტყვასთან შედგა 1886 წელს, როცა ვასო აბაშიძემ იგი გაზეთ „თეატრის“ დროებით რედაქტორად დანიშნა. „თეატრიდან“ წამოსვლის შემდეგ მისი სტატიები იბეჭდებოდა „ივერიაში“; 1887 წელს მან დაიწყო „საქართველოს კალენდრის“ გამოცემა; მისივე რედაქტორობით 1896 წელს გამოდიოდა

გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1907-1908 წლებში – ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი „ნიშადური“; 1908 წელს – ჟურნალი „საქართველო“ და გაზეთი „ისარი“. ეს ის პოპულარული გამოცემებია, რომლებიც ვალერიან გუნიას სახელს უკავშირდება და რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში.

– რას გვიამბობთ ვალერიან გუნიასა და მისი „საქართველოს კალენდრის“ შესახებ?

– ვალერიან გუნიას „საქართველოს კალენდრის“ პირველი ნომერი დაიბეჭდა 1888 წელს. ის გამოდიოდა წელიწადში ერთხელ, სულ თოთხმეტი წიგნი დაისტამბა, ბოლო კი 1905 წელს გამოიცა. გუნია იყო კალენდრის შემდგენელი, სტატიების ავტორი, კორექტორი, გამომცემელი, რედაქტორი, საორგანიზაციო და საფინანსო საქმეების მომხსარიგებელი. ამის მიუხედავად, გამოცემულ 14 წიგნში, ერთის გარდა, ჯერ გამოუქვეყნებელი, ახალი მასალა იბეჭდებოდა. წიგნად გამოცემული მრავალგვარი ცნობებითა და ინფორმაციული მასალით აღჭურვილი კალენდარი ერთგვარ სამაგიდე ენციკლოპედიურ ცნობარს წარმოადგენდა. ამასთან, კალენდარში ყოველგვარი ინფორმაცია პოპულარული ენით იყო დაწერილი, რათა მისაწვდომი და გასაგები ყოფილიყო საზოგადოების ყველა ფენისთვის.

ვალერიან გუნია სტატიების მოსამზადებლად ძველი ქართული ხელნაწერებით სარგებლობდა. კალენდარში იპოვიდით მრავალ საჭირო და საინტერესო ინფორმაციას, ხალხური მედიცინისა და წამლების გამოყენების წესებს, ავადმყოფისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ქართული კულინარიის, ასტროლოგიური და ასტრონომიული საკითხების, სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და აგრონომიის, მატარებელთა განრიგებისა და მგზავრობის ფასებს, ფოსტა-ტელეგრაფისა და სანოტარო ცნობების, სხვადასხვა კანტორათა და ნოტარიუსთა მისამართებს და ასე შემდეგ. „კალენდარი“ პასუხს იძლეოდა ადამიანის ყოფაცხოვრებისათვის საჭირო თითქმის ყველა საკითხზე.

გუნიასეულ და „საქართველოს კალენდრის“ პოპულარობაზე მიუთითებს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილი, რომელშიც შუამთის მღვდელ-მონაზონი ტარასი იხსენებდა: „შევხვედრივარ სოფლად, რომ ვინმე ავად გამხდარა და მაშინვე ის დაუძახიათ, არიქა, გუნიას კალენდარი იშოვეთ სადმე და იქ ეწერება ავადმყოფობის წამალიო. უშოვიათ, მოუნახავთ სათანადო ადგილი, ზუსტად

უსარგებლიათ იქ მოყვანილი ცნობებით და უშველიათ კიდეც ავადმყოფისთვის.“

– ჩანს, ეს კალენდარი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საზოგადოებაში.

– სწორედ რომ, მრავალფეროვნებით გამორჩეულმა კალენდარმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია თავის თანამედროვე საზოგადოებას და მრავალი საყურადღებო ინფორმაცია და მასალა შემოუნახა მომავალ თაობას. კალენდრის ფურცლებზე იბეჭდებოდა ქართველ სახელოვან მწერალთა: აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, იროდიონ ევდოშვილის, შიო მღვიმელის, ეკატერინე გაბაშვილის, ნინო ნაკაშიძის, შიო არაგვისპირელისა და სხვათა ნაწარმოებები.

– ვალერიან გუნიას ბიოგრაფიიდან რა არის ცნობილი?

– ვალერიან გუნია დაიბადა 1862 წელს სენაკის მაზრის სოფელ ეკში. მისი დაბადების თარიღი დოკუმენტებში სხვადასხვაგვარადაა მითითებული: უმრავლეს წყაროებში აღნიშნულია 9 ან 21 იანვარი. უფრო სარწმუნოა საეკლესიო ჩანაწერები, რომელთა მიხედვითაც, პატარა ვალერიანი 15 აპრილს დაბადებულა. მამა – ლევან გუნია, ქალაქ ფოთის თვითმმართველობის მოხელე იყო; დედა – ტასო (ანასტასია) ჩიჩუა, ადრე გარდაიცვალა და 6 წლის ასაკში დაობლებული ბავშვი მოძულე დედინაცვლის ხელში აღმოჩნდა. მას მზრუნველად ოჯახის მოსამსახურე, პოლონელი ემიგრანტი სტანისლავ გრინცევიჩი გამოუჩნდა, რომელიც მხატვრობისა და მუსიკის ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. მეამბოხე სულის პოლონელმა საძირკველი ჩაუყარა მომავალი საზოგადო მოღვაწის პიროვნების ჩამოყალიბებას.

ფოთის სამაზრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მამამ იგი თბილისში წამოიყვანა და 1876 წელს თბილისის რეალურ გიმნაზიაში მიაბარა. ბეჯითი ყმაწვილი ძალიან კარგად სწავლობდა და მოსწავლეთა საიდუმლო წრეს მეთაურობდა. მისი თანაკლასელები იყვნენ მომავალი მხატვრები – გიგო გაბაშვილი და რენე შმერლინგი. 1881 წლის 1 მარტს რევოლუციონერებმა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე მოკლეს. თბილისის რეალური სასწავლებლის მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა დიდების ტაძრის გალავანში ფარულად მოაწყო იმპერატორის სულის მოსახსენებელი „მეფის შესანდობარი ქელეხი“. აქ ცარიზმის საწინააღმდეგოდ მრავალი მოსაზრება გამოითქვა. მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა ვალერიან გუნიაამაც.

– რა მოჰყვა მისი მხრიდან ამ გაბედულ ნაბიჯს?

– ამ „გაბედული ნაბიჯისთვის“ ვალერიან გუნია, სხვა მოსწავლეებთან ერთად, სასწავლებლიდან გარიცხეს ეგრეთ წოდებული „მგლის ბილეთით“. ვალერიანი ამხანაგების მიერ შეგროვილი ფულით სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა მოსკოვს, სადაც თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა პეტროვო-რაზუმოვსკის სამეურნეო აკადემიაში. პარალელურად, საიმპერატორო მცირე თეატრში დაიწყო მუშაობა, გაეცნო სათეატრო ხელოვნებას და თარგმნა რამდენიმე პიესა. ამ საქმეში ვალერიანს დიდი დახმარება გაუწია ცნობილმა თეატრალურმა მოღვაწემ, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინმა, რომელიც იმხანად მოსკოვის მცირე თეატრში მსახურობდა. 1882 წელს, იმპერატორ ალექსანდრე მესამის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით, პოლიციამ ყველა არასაიმედო პირი ქალაქს მოაშორა და მათ შორის ქართველი სტუდენტიც გამოაძევა საქართველოში.

– ამის შემდეგ რა ხდება?

– სახალხო თეატრის იდეით გატაცებული ვალერიანი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი განსაკუთრებით დაინტერესდა სასცენო ხელოვნებით და თეატრის მოყვარულთა წრის აქტიური თანამშრომელი გახდა. ვალერიანის დიდი ნიჭი ადვილად შეამჩნია ვასო აბაშიძემ, რომელმაც იგი 1883 წელს პროფესიულ სცენაზე გამოიყვანა. ამის შემდეგ გუნია ერთგულად ემსახურებოდა ქართულ თეატრს. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში კინოსა და თეატრში ხუთასამდე სხვადასხვა ხასიათის როლი ითამაშა. 1934 წელს კი მას რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნოდება მიენიჭა.

– რას გვიამბობთ ვუნიასა და თეატრის შესახებ?

– ქართული თეატრის დასს მატერიალურად ძალიან გაუჭირდა. რეპერტუარის შესანარჩუნებლად რაღაც უნდა ელონათ. ვასო აბაშიძეს უთქვამს, თეატრში ერთი ვალიკო გვყავს და უოჯახებელი, იქნებ, მდიდარი ქალი შეირთოს და ჩვენც გვეშველოსო. მართლაც, ასე მოხდა: ვალერიანი გარიგებით დაქორწინდა ქიზიყელი გლეხის, ივანე გომელაურის ასულზე. ივანე განათლებულიც ყოფილა და შეძლებულიც – უზარმაზარი მამულები ჰქონია. მისი ერთ-ერთი ქალიშვილი, ნინა, ბოდბის მონასტერში იზრდებოდა. ვალერიანი ნინა გომელაურზე 1898 წელს დაქორწინდა. გარიგებისას შეთანხმდნენ, რომ მზითევის ნახევარი თეატრალურ სალაროში უნდა გადასულიყო, მეორე ნახევარი კი ოჯახს უნდა მოხმარებოდა. ივანე გომელაურმა ხელი

მოაწერა ამ გარიგებას. ვალერიანმა მზითევში მიიღო საკუთარი სახლი, მიწები და 25 000 მანეთი (ოქროთი) და დაქორწინებისთანავე შეიძინა სტამბა, რომლის კურთხევა დიდი ნადიმით აღინიშნა. მას ილია ჭავჭავაძეც ესწრებოდა. ვალერიან გუნია შემდგომშიც უშურველად ახმარდა საკუთარ ქონებას თეატრსა და ბექდურ გამოცემებს. ამ მხრივ საინტერესოა მისი მეუღლის, ნინას მოგონებები, საიდანაც ირკვევა, რომ ვალერიანს ორი ათასი მანეთი გაუტანებია კოტემესხისთვის საფრანგეთში, ფრანგული კომედიების შესასწავლად. ბუნებით მეტად მზრუნველი ვალერიანი ყველას ეხმარებოდა. მისი მეუღლის მოგონებებში ვკითხულობთ: „... მთიდან ჩამოვიდა დაგლეჯილ-დაფლეთილი ვაჟა-ფშაველა. ვალერიანმა მის პატივსაცემად წარმოდგენა გამართა. ჩააცვა და დაახურა. ამ წარმოდგენის შემდეგ ვაჟა ავად გახდა. ვალიკომ ის საავადმყოფოში მოათავსა და პატრონობდა.“

– შვილები თუ ჰყავდა ვალერიან გუნიას?

– ვალერიანს ოთხი შვილი ჰყავდა: ვალერიანი (ვალიკო), ანასტასია (ტასო), დოდო და, ნაბოლარა – ნონა, რომელიც 20 წლით უმცროსი იყო ძმაზე. ვალერიანის ვაჟი 1937 წელს დააპატიმრეს, 1938 წელს იგი გარდაცვლილა. დოდო კონსტანტინე კუზნეცოვს გაჰყვა ცოლად. იგი ფეხმძიმედ იყო, როცა ვალერიანი კვდებოდა. ისე მოხდა, რომ გუნიას შთამომავლობა ქალების ხაზით გაგრძელდა. ვალერიანს დაუბარებია შვილისთვის: თუ ვაჟი გაჩნდა, გიორგი დაარქვით და ჩემი გვარი მიეცით; ვალიკოს ნუ დაარქმევთ, ეს სახელი უბედურების მომტანიანო. მართლაც, 1938 წელს დაიბადა გიორგი. ვალერიანი ამავე წელს გარდაცვლილა 77 წლის ასაკში. ამ დროს ოჯახი უკვე გაღარიბებული იყო. გარდაცვლილს ფეხსაცმელიც კი არ ჰქონია და თეატრიდან მოუტანიათ.

ვალერიანი მუდმივად სათვალეს ატარებდა. თურმე პატარაობისას, ვალერიანს „ჩილიკაობის“ თამაშისას ჯოხი მარცხენა თვალში მოხვედრია და ისე დაუზიანებია, რომ მისი ოდესაში წაყვანა და შუშის თვალის ჩასმა გამხდარა საჭირო.

დიდი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე ძალიან კარგად ხატავდა. გასაოცარია, მაგრამ მისი ნახატები არსად ჩანს. მან დაგვიტოვა მდიდარი მემკვიდრეობა თეორიული წერილებისა და ისტორიული ნარკვევების სახით, რომლებიც საკითხთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ვალერიან გუნია მთელი თავისი ნიჭი და ენერჯია ქართული კულტურისა და ხელოვნების უანგარო სამსახურს შეაღია.

ეკა სალაღია

ხვიჩა სიმონია და „ბრმათა ქალაქში ნაბლანი“



ქუთაისში ცხოვრობს, ამ ქალაქის სიხარულით ხარობს და ამ ქალაქის წუხილით წუხს. გული შესტიკვა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს არ აწუხებთ მისებრი ადამიანების ბედი. **ეს ხვიჩა სიმონიაა, უსინათლო შემოქმედი.**

რვა წლის ასაკიდან მღერის. ოცი წლის ნინ უბედურმა შემთხვევამ თვალის ჩინი დაუკარგა(ავტოკატასტროფაში მოჰყვა) და ბას-გიტარიდან საესტრადო სიმღერაზე გადაინაცვლა.

„რა ვიცი, ვფიქრობ, ბევრ კარგ საქმეს ვაკეთებ, მაგრამ ხელის შემშლელი ფაქტორებიც ბევრია. არაერთი კონცერტი დამიბლოკეს. მაგალითად, აგერ გასული წლის ოქტომბერში ოპერის თეატრში შეთამხმებული ღონისძიება გამიუქმეს. ასეთი შემთხვევები არაერთია. სხვადასხვა ქალაქში ვატარებ კონცერტებს, შემოსულ თანხას კი ინვალიდთა ფონდებში ვრიცხავ. მქონდა საკუთარი სტუდია მწერალთა სახლში, სადაც ყოველთვიურ გადასახადს ვიხდიდი. იქაც მომიხურეს კარები. ახლა სტუდია სახლში მაქვს და აქ იქმნება ჩემი მუსიკალური ნაწარმოებები. მუსიკის და ტექსტის ავტორი თავად ვარ, მეგობრებიც მიწერენ ტექსტებს. ჩემს მუსიკალურ სტუდიაში ძალიან ბევრი ახალგაზრდა სწავლობდა და ბევრმა თბილისისკენაც გაიკვლია გზა, მაქვს მათთან ჩანერილი დუეტები. ახლა კი ვმუშაობ ალბომზე, რომელშიც ახალთან ერთად აუცილებლად შევა ჩემი ძველი სიმღერები.“ - ამბობს ხვიჩა.

ალბომამდე კი მომღერალს სხვა, მნიშვნელოვანი ჩანაფიქრიც აქვს: ათ მარტს წყალტუბოში უნდა ჩაატაროს კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას

მიიღებენ ნატალია ვეფხვაძე და კიდევ ერთი უსინათლო, ფოთელი მომღერალი.

ხვიჩა სიმონია ვერ ხედავს, მაგრამ მზერას სიმღერით გამოხატავს. მსმენელისთვის მისი ყველა სიმღერა სასიამოვნო მოსასმენია. არ შეიძლება, არ დაგამახსოვრდეს: „უნდა გამათავისუფლო“, „მაპატიე“, ან თუნდაც „ბრმათა ქალაქი“, ახალი წლის ღამეს, სანთლის შუქზე რომ უმღერა ქუთაისს.

„მადლობა ღმერთს, რომ დღეს ბევრი ისეთი ადამიანი არსებობს, რომლებსაც გული შესტიკვით და სულერთი არ არის მათთვის ინვალიდთა ბედი. ერთ-ერთი მათგანია ბატონი თემურ სულაძე. მის თანადგომას ყოველთვის ვგრძნობთ, რისი საშუალებაც აქვს, უშურველად ემეტება ჩვენთვის. პირადად მე ვარ ინვალიდთა ასოციაციის დამფუძნებელი. ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება მარტო უსინათლოებს, ვცდილობ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველა ადამიანს დავეხმარო. ვთანამშრომლობ ბავშთა გასართობ ცენტრ „სიმბასთან“, სადაც მიგვყავს უნარშეზღუდული ბავშვები. ცენტრიც ყველანაირად გვერდით გვიდგას და გვეხმარება.“

უსინათლო მომღერალს მეუღლეც შემართებით უდგას გვერდით. სწორედ ქალბატონ მზიას დახმარებით ახერხებს იგი ტექსტების ჩაწერას.

„უცბად მოიფიქრებს ტექსტს და დამიძახებს, სწრაფად ჩაენერეო, თავად ვერ ხედავს და ვცდილობ, როგორმე არ გამომჩეს რომელიმე სიტყვა. ყველანაირად ვეხმარებით მეც და ჩემი შვილებიც, მას უყვარს ეს საქმე და გული მწყდება, რომ მისი ქველმოქმედება არ ჩანს.“ - ამბობს ქალბატონი მზია.

ეკონომიურად შეჭირვებულ ადამიანს გულგრილობა და უყურადღებობა გაცილებით მეტად სტკენს გულს. ბევრისათვის უფუნქციობის განცდა სიკვდილის ტოლფასია. ხვიჩა სიმონიას კი, საბედნიეროდ, დღეს უფუნქციობის განცდა არ აწუხებს და ცდილობს, თავადაც ყველას დაუდგეს გვერდით.

სამომავლოდ მის არაერთ კონცერტს ვიხილავთ, არამარტო ქუთაისში, არამედ - სხვა ქალაქებშიც.

შალვა ბერიძეს ნიკო მარმა ეთნოგრაფიული მასალების მეგრულად ჩანერა სთხოვა

შალვა გიორგის ძე ბერიძემ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია დაამთავრა, შემდეგ – ხარკოვის უნივერსიტეტი. 1913 წელს ხარკოვში ბროშურის სახით გამოიცა შალვა ბერიძის რეფერატი რუსულ ენაზე "Непонятный гений (Илья Григорьевич Чавчавадзе как поэт-гражданин)". ეს შრომა მან 1912 წელს ხარკოვის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ნაიკითხა ილია ჭავჭავაძის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოზე. 1917-1918 წლებში მოღვაწეობდა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში, სადაც ნიკო მარისა და ალექსანდრე ხახანაშვილის რეკომენდაციით დაიწყო კვლევები ენათმეცნიერებაში. 1917-20 წლებში შალვა ბერიძეს მოსკოვსა და თბილისში რუსულ ენაზე გამოუქვეყნებია წიგნაკები ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლისა და პუშკინის მეგობრის, პოეტ ვ. ტუპლიაკოვის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. 1919 წლის მარტში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ნიკო მარის ინიციატივით შალვა ბერიძეს მიანდო მეგრული სიტყვიერებითი და ეთნოგრაფიული მასალების შეკრება და ჩანერა. 1919 წლის 15 მარტს მეცნიერი გამოემგზავრა მოსკოვიდან და ივლისის თვიდან, თბილისის უნივერსიტეტის ხელშეწყობით, შეუდგა მუშაობას სამეგრელოში, ახალ-სენაკში. 1920 წელს



თბილისში ხელნაწერის უფლებით გამოიცა მისი 220 გვერდიანი წიგნი: "მეგრული (ივერიული) ენა, შესავალი და მასალები", რომლის წინასიტყვაობაში ავტორი წერდა: „მეგრული ენის მასალები განზრახულია სამ წიგნად: I - შეიცავს: შესავალს (8 თავი), ლექსებს, ზღაპრებს, ანდაზა-გამოცანებს, შელოცვებს, ლეგენდებს, ბატონყმობის ამბავს, თარგმანს მეგრულიდან ქათულად და სალექსიკონო მასალას; II - ზუგდიდი-სამურზაყანოს კილოს ტექსტებსა და სამეგრელოს ეთნოგრაფიულ მიმოხილვას; III - ჯვრის ტექსტებს, როგორც განსაკუთრებული თქმის ნიმუშს სვანური ენის გავლენის გამო“. სამუხებროდ, ეს წიგნი აღმოჩნდა პირველი და უკანასკნელი მეცნიერის მიერ ჩაფიქრებული მრავალტომიანი გამოკვლევისა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შალვა ბერიძე ემიგრაციაში წავიდა. 1924 წლის სექტემბრის დამლევს ქართული არასოციალისტური პოლიტიკური ემიგრაციის ახალგაზრდული ფრთის აქტიურ წარმომადგენელთა ჯგუფმა შალვა ბერიძის თაოსნობით პარიზში დააფუძნა ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტული ორგანიზაცია "მომავალი". შეადგინეს 10 მუხლისაგან შემდგარი დებულება, რომელიც მთლიანად ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენაზე და კულტურულ-ისტორიული ტრადიციების

განვითარებაზე იყო ორიენტირებული. ორგანიზაციის სულისკვეთების გარკვევისათვის საკმარისია მოვიხმოთ დებულების დასკვნითი მე-10 მუხლი: "მომავალი" არის თავისუფალი, უწმინდესი შეფიცვა უტყუარის პარტიოტიზმით აღჭურვილი ქართველებისა და საქართველო – სამლოცველო დიდებაა მისთვის". აღსანიშნავია, რომ დებულება ითარგმნა და გამოქვეყნდა ფრანგულ პერიოდულ პრესაში. იმავე წლის 24 ოქტომბერს ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი შეფიცულები მიწვეულები იყვნენ "მომავლის" ერთ-ერთ სხდომაზე. შეფიცულთა ბელადმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო თავისი წინადადება ორგანიზაციისათვის ეწოდებინათ "თეთრი გიორგი", ვინაიდან გველემაპის განმგმირავი თეთრი გიორგი (წმინდა გიორგი) იყო ქედუხრელი, მებრძოლი საქართველოს სიმბოლო. ორგანიზაციას სათავეში ლეო კერესელიძე და მიხაკო წერეთელი ჩაუდგნენ.

პოლიტიკური მოღვაწეობის პარალელურად შალვა ბერიძე ეწეოდა უაღრესად ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას. ბეჭდავდა წერილებს ჟურნალ "აზიატიკი". 1930-იანი წლების დასაწყისში ლონდონში ინგლისურად გამოუცია "ქართველი პოეტები", ფრანგულად დაუწერია ნაშრომი "ბაირონი და პუშკინი", იტალიურად – "ლერმონტოვი კავკასიაში". მონაწილეობდა ქართული ემიგრაციის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებაში. 1931 წლის 11 ოქტომბერს პრინცესა სალომე დადიანის ინიციატივით საქართველოს შესახებ ჩატარებულ კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით "გველისმჭამელი – ქართული პოემა" და მონაწილეობა მიიღო "ვეფხისტყაოსნის" განხილვაში. 1936 წლის 19 იანვარს "პარიზში მყოფ ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა ასოციაციის" მიერ გამართულ ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ სალიტერატურო სხდომაზე ფრანგულად წაიკითხა მოხსენება "ვაჟა და მისი აფორიზმები".

1934 წელს შალვა ბერიძემ დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი. 1936 წლიდან ცხოვრობდა იტალიაში, ნეაპოლში. სწავლობდა ბასკურ-ქართულ ურთიერთობებს, ქართულ-აღმოსავლურ კონტაქტებს, ქართველ მწერალთა შემოქმედებას, იტალიურად თარგმნიდა ქართულ ნაწარმოებებს. პროფესორ ბ. ბარბიელინის მიწვევით 1936-1948 წლებში ნეაპოლის აღმოსავლეთის ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას. ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა. პროფესორ შალვა ბერიძის

ლექციებს მსმენელთა ფართო აუდიტორია ჰყავდა, რომელიც დიდი ინტერესით ეცნობოდა კავკასიასთან დაკავშირებულ საკითხებს. ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში შალვა ბერიძემ აღმოაჩინა და გამოსცა კაპუცინების ორდენის ბერის ბერნარდო დი ნაპოლის ორი ჩანაწერი, 1670-1680 წლებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ.

შალვა ბერიძე უაღრესად ნაყოფიერი მკვლევარი იყო, ნაშრომებს აქვეყნებდა ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ ენებზე. თანამშრომლობდა ემიგრანტულ ქართულ-ჟურნალ-გაზეთებთან – "ბედი ქართლისა", "ივერია", "ქართლოსი" და სხვა. არის ათამდე წიგნისა და რამდენიმე ათეული ნაშრომის ავტორი – "ქართული ენა იტალიაში", "ბასკური და ქართული", "მედიცინა აღმოსავლეთში, აზია და ევროპა", "მოგზაურობები კავკასიაში", "პიეტრო დელა ვალლე კავკასიაში", "ქართული ენის ელემენტები", "საქართველო და ფრანგული მწერლობა", "წერილები ვეფხისტყაოსნის" საკითხებზე" და ა.შ. დაუბეჭდავი დარჩა ნაშრომები: "აზია", "კავკასია", "საქართველო" (იტალიურ ენაზე).

მეტად მნიშვნელოვანია შალვა ბერიძის როგორც მეცნიერ-რუსთველოლოგის ღვაწლი. ამ სფეროში პირველი ნაშრომი, სახელწოდებით "რუსთაველი", მან 1937 წელს წაიკითხა ნეაპოლის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. თუმცა რუსთველოლოგიაში მისი მოღვაწეობის დაგვირგვინებად უნდა ჩაითვალოს "ვეფხისტყაოსნის" სრული პროზაული თარგმანი იტალიურ ენაზე, რომელიც 1945 წელს მილანში გამოქვეყნდა ("ა ელლე დი ეოპარდო დი შციოტტა ლუსტაველი. თრადუზიონე დალ ეორგიანო დი შცალვა ერიდზე. ილანო, 1945"). თარგმანი შესრულებულია "ვეფხისტყაოსნის" 1903 წლის დავით კარიჭაშვილისეული გამოცემის მიხედვით. 1966 წ. შალვა ბერიძემ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით წაიკითხა მოხსენება "რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობა", ხოლო რომში იტალიურ ენაზე გამოსცა "ვეფხისტყაოსნის" აფორიზმები და ანდაზები. ამას მოჰყვა არაერთი საინტერესო გამოკვლევა. მათ შორის 1967 წელს გამოსული წიგნაკი იტალიურ ენაზე "რუსთაველი და მედიცინა", მეცნიერს ხელნაწერის სახით დარჩენია "ვეფხისტყაოსნის" სრული ფრანგული თარგმანი, რომელიც არ გამოქვეყნებულა.

შალვა ბერიძე დაქორწინებული იყო იტალიელ პოეტ კატერინა რუბერტოზე. შთამომავლობა არ დარჩენია.

დ ვ დ ი ა ნ ე ა მ ი ს
უ ნ ე ა ვ ლ უ მ რ ი
ს ა მ ა ნ ე ა მ რ ი
ს ა ლ თ ა ნ ე ა მ ი ს
ს ა მ ს ა ს ლ ა მ ი



18 მ ა ნ ს ს . მ ა მ ბ ე რ ე ბ ი ს ს ა ღ რ ი თ ა შ ი რ ი ს ი ს ი რ ი ლ ე . 20 ს ა ს თ ბ ე ს ა ქ ა ნ ი თ ე რ ე ლ ო ს ყ უ რ ო უ ყ რ ი ს ს ა მ ი ნ ი ს ც რ ი ო ს ბ ე რ ო ო რ ე ბ ი ს ს ა ს ა ს რ ო ჟ ი . ს ა მ ე ჯ რ ი ე რ ო ს მ თ ა ვ ა ნ ი თ ა - რ ა წ რ ი ა ნ ბ ი ს ს ა ს ა ს რ ო ი რ ა ს ჯ რ ა მ ო ყ ა ს ნ ი რ ო თ ყ ბ ი ა წ რ ო უ ყ რ ი ს ა ჯ ა ს ა ნ ბ ი რ ი ს ჯ ა მ ო თ ე რ ა ს ჯ ა ნ ს ა ს .

ე ქ ა ნ თ ბ ი ე ა ს ყ ბ ი ა წ რ ო უ ყ რ ი ს მ ი ს ი ჯ ი ბ ი ა წ რ ო უ ყ რ ი მ ა ს ა ს ა ნ ო თ ე ბ რ ო ბ ი თ ა რ ა ს მ ლ ო თ ე რ ო თ მ ნ ი შ ე რ ო თ ბ ი თ . ე ა ს ც რ ი ს ი ბ ე ქ ა ვ ა ქ ა ვ ა ს ი ე - რ ა წ რ ი ა ნ ბ ი ს ს ა მ ა ჯ ი რ ო თ მ ო ნ ' ყ ო ბ ი რ ო ბ ა ს . ნ ი ყ ო რ ა წ რ ი ა ნ ბ ი ს ს ა ს ა ს რ ო ი ს ე ყ რ ო თ ა ო ა ო თ ყ რ ი ს ჯ ო რ ე ჯ ე რ ო თ . თ ე რ ა ს ა ე ჯ ს მ ა ს რ ო ჟ ბ ი . ჯ რ ა ს ე რ ო ჟ ბ ი . ს ა ო მ ა რ ი ო ა რ ო ა რ ი რ ა ს ე რ ო თ რ ა წ რ ი ა ნ ბ ი ს ყ ბ ი ა წ რ ო უ ყ რ ი ს ყ ო რ ო ე ქ ა ს ი ი რ ა ს - ს მ ო ჟ ბ ი . რ ა მ ა ს ზ ე ბ ი . ს ა ქ ე რ ა ს რ ა ს . რ ა წ რ ი ა ნ ბ ი ს რ ი ბ ა ს ც რ ი ს ს ა ო უ ა ს ბ ო თ ე რ ო ჟ ბ ი . ნ ი ყ ო რ ა წ რ ი ა ნ ბ ი თ ა რ ო ს ა რ ო ბ ო მ ი ც ყ რ ი ჯ ი რ ო ბ ა ს ი ყ რ ო თ . რ ო მ ე რ ო თ ე მ ა ს რ ო ყ ს ო თ ს ი მ ა ჯ რ ა ს ც რ ო მ ა ს ა რ ო ე ქ ა ს ა ნ რ ო ე 99 - მ ა ს ა ს ს ო ჯ რ ა ს . ე ს ა რ ი ს ა რ ო ს რ ო ს რ ო ყ რ ო თ ო ა მ ო ბ ა ს ო თ ა რ ო თ ი მ ჯ ა ს ო ბ ი რ ო თ ს . რ ო მ ე რ ო თ ე ბ ე რ ო ო რ ე ბ ი ს ს ა ს ა ს რ ო ჟ ი ჯ ა რ ო ე რ ო ჟ ო რ ო თ ჯ ო რ ი ო რ ო თ რ ა ო ი რ ო ე ბ ს ბ ი ს ა ს .

ჯ ა ს ა ს ა ყ ო თ რ ი ბ ი რ ო ყ რ ო თ ა რ ო ე ბ ა ს ი მ ს ა ს ყ რ ო ე ბ ს ს ა მ ო რ ო ჟ ო ბ 9 - ო ს (1769-1821) ბ რ ი ბ ი ა ს ო ს ნ ი რ ა ს ბ ი . რ ო მ ე რ ო თ ე ს ა ს ა რ ო მ ი ბ ი ს ჯ რ ო თ ე რ ო მ ო მ ა ს . თ ე რ ა ს ნ ო ჯ ო ს ა ს ა რ ო მ ა რ ო მ ა ს 1833 ო ო რ ო ს ჯ ა რ ი ბ შ ი ო ა მ ო ს ს ა ს ბ ე რ ო ე ბ ა ს . ა რ ო ს ა ნ ი მ ა ს ა ო ს . რ ო მ ნ ი რ ო ს ბ ი ს ყ ო ლ 4 ე ჯ ბ ე მ ა რ ო თ ა რ ო თ ა რ ო ს ო ს . მ ა თ ე ჯ ა ნ ე რ ო თ ი რ ა ს ც ყ რ ო თ ო ს ჯ ა რ ი ბ შ ი ო ბ ა ს ა რ ო ი რ ო ე ბ ი ს ს ა ს ა ს რ ო ჟ ი . მ ე რ ო თ ე რ ო თ რ ო თ ბ ო მ შ ი ბ რ ი ო ე ა ს ბ ო თ ო ს მ ა მ ბ ე რ ო მ შ ი . მ ე რ ო მ ე ჯ ა ს ა ს ა მ ო თ ო ს ბ ო ლ ო თ ი ყ ო რ ო ბ ო ს მ ა მ ბ ე რ ო მ შ ი რ ა ს მ ე რ ო თ ე ბ ო ჯ რ ო ი რ ო თ ს ა ს ა ღ ო მ ბ ' ო თ ო მ ა მ ბ ე რ ო მ შ ი . ნ ი რ ო ს ბ ი ს ა ქ ა ნ ი თ ე რ ო ჟ ო ლ ო მ ი ს ა რ ო მ ე რ ო თ რ ა წ რ ი ა ნ ბ ი - მ ო თ რ ა ს ე რ ო ს რ ა ს მ ი ს ი მ ე რ ო ლ ო თ ს ა შ ი რ ო მ ო თ რ ა ს ე რ ო მ მ ე რ ო ჯ ო ბ ი თ ა რ ო მ ო ს რ ა ს .


რ ა წ რ ი ა ნ ბ ი ს ს ა ს ა ს რ ო ი რ ა ს ჯ რ ა მ ო ყ ა ს ნ ი რ ო თ ს ა ჯ ა ს ა ნ ბ ი რ ი ბ ე რ ო ო რ ე ბ ი ს ს ა ს ა ს რ ო ჟ ი ჯ ო თ ე რ ო . ს ო რ ო ო ს ა ო თ რ ა ს ა ო თ ო ს ი მ ა ჯ რ ო ს ც რ ო თ ო ს ნ ი რ ო ს ბ ი 1 ო თ ე რ ၊ ე ჯ ე ბ ა ს ჯ ა ს ო თ ა რ ၊ ბ ო ლ ო თ .





მასალები მოგვანოდა ხელოვნების სასახლის ადმინისტრაციამ

პიპო სისარულიძე



ქვეყნი ტახტი

ლამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა დამირეკეს და მეგობრის ქალიშვილის დაღუპვის ამბავი შემატყობინეს. გოგონა, სამეგრელოს გზაზე, ავტოკატასტროფაში მოხვედრილიყო. საჩქაროდ ჩავიცვი, გიჟივით გამოვვარდი გარეთ, მანქანა გავაჩერე და უკვე რამდენიმე წუთში ჩემს მეგობართან ვიყავი. სანყალი, უბედურებისაგან გაქვავებულიყო და უაზროდ სადღაც შორს იყურებოდა.

უსიტყვოდ ჩავიკარი გულში და ასე მდუმარედ გავატარეთ რამდენიმე წუთი. გარდაცვლილის მეგობრები თავს დაგვტრიალებდნენ. ჩემი მეგობრის მიმართ ისეთი სითბო იგრძნობოდა, რომ ლამის ბავშვივით ავტირდი. ცოტა ხნის შემდეგ, ვიკითხე, ტახტი თუ იყო მზად ცხედრის დასასვენებლად.

მათ კი, დაბნეულებმა შემომჩვილეს: „ამ შუალამისას არც კი ვიცით ვის მივმართოთ და იქნებ, თქვენ მოიკითხოთ მეზობლებში“.

ცოტა ხანში მე და ჩემი მეგობრის ორი მეზობელი ჩაბნელებულ სარდაფში ჩავედით. გზას ფარნის შუქით მივიკვლევდით. ჩამყაყებული სუნი სუნთქვას გვიკრავდა.

ტახტის დანახვაზე ტანში გამცრა. ბედის უკუღმართობით უკვე მერამდენედ ხდებოდა ჩემი და სამგლოვიარო ტახტის შეხვედრა. მომჩვენა, თითქოს ტახტი გასულიერებულიყო და გვსაყვედურობდა: „თქვე კაი დედამამიშვილებო, სამგლოვიარო რიტუალის შემდეგ ამ ნყვდიადში რომ ჩამიძახებთ და კაცი არ კითხულობს, რა დღეში ვარ, განა ეს სამართალია? ვიცი, სიცოცხლეში თქვენ უცხოურ სანოლებში ნებივრობთ და მე კი, რადგან მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ გჭირდებით, ამითვალწუნეთ, გეზიზღებით და

ჩემსკენ გამოხედვაც არ გინდათ. ნეტავ იცოდეთ, რა სიყვარულით გაცილებთ უკანასკნელ გზაზე, როგორ გლოცავთ, თქვე ცოდვისშვილებო! მე ის მაძლებინებს, რომ თქვენმა სულმა იცის ჩემი საიდუმლო, სულმა, რომელიც რამდენიმე დღე თავს დაგტრიალებთ და ზეცაში ასაფრენად ემზადება. რამდენჯერ მომისმენია მათგან - ნუ განსჯი ტახტო უგუნურ კაცთა მოდგმას, რამეთუ მათ არ იციან, რას სჩადიან. ამ ცრუ წუთისოფელში, ხშირად მოლაღატეს, უღალატო ადგილი უჭირავს, ხოლო უღალატოს, მოლაღატისა. ყველა ამქვეყნიური სიამოვნების განცდას შეუპყვრია, აქაოდა, მაინც მოვკვდები და ყველაფერი მოვასწროო.

მარტო ერთი რამით აჯობა ადამიანმა სიკვდილს, მან იგი მასხრად აიგდო და ამით მრისხანება დააკარგინა. სხვაგვარად, ვერავინ გაუძლებდა სიკვდილზე ფიქრს. მე და შენ, ტახტო, ერთ დღეში ვართ. მთელი ცხოვრება ვილაცის სხეულში დატყვევებულს, ხშირად ვერც კი მაჩნევენ, აქაოდა, ყოვლის შემძლე ადამიანი ვარ და უნდა მემსახუროო. მხოლოდ აღსასრულის დღეს ვახსენდები ყველას და ღმერთს შევლას სთხოვენ, სული გვეპარებაო. იმასაც ვერ ხვდებიან, რომ კი არ ვეპარები, ვტოვებ, რათა მათი გადაღლილი სხეულები საბოლოოდ დავასვენო და სამუდამოდ დავუბრუნო მშობელ მიწას...

ტახტის სევდიანი მონოლოგი მეზობლის ხმამ შეწყვიტა, - ერთი თუ ძმა ხარ, მაქედან ხელი მომიკიდო. მეც არ დავაყოვნე და ხელი ვტაცე. როცა ტახტი კიბეზე ამოგვქონდა, სიძველისაგან დამპალი ფეხი ერთ-ერთ ჩვენგანს ხელში შერჩა, ხოლო ტახტი ამოყირავდა და კიბეზე ზღართანია მოადინა.

- ვაი, დედა! - მომესმა ტახტის განწირული ხმა.

- არიქა! ბიჭო! - შესძახა მეორემ და ხელი მეორე ფეხს ჩასჭიდა.

„ვაიო!“ - დაიძახა ფეხმა და ისიც ხელში შეგვრჩა. ტახტის ის ნაწილი კი, რომელიც კიბეს დაენარცხა, შუაზე გადატყდა.

- სასწრაფოდ დავნვდი, მინდოდა შუანელიდან ამეტაცა. სწორედ მაშინ, ტახტმა საბოლოოდ დაიჭრიალა და ნაწილებად იქცა.

შეძრწუნებული ვიდექი და ვხვდებოდი, რომ ყველას გამცილებელ ტახტს მე ვაცილებდი თავის უკანასკნელ გზაზე.

- რა მოუვიდა ამ შობელძალს, რაღა ახლა დაიშალა, - ბუზღუნებდა ერთი მათგანი. ისე ამოვედით სარდაფიდან, სიტყვაც არ მითქვამს.

მეზობლად მცხოვრებმა დურგალმა ახალი ტახტი გააკეთა და მეგობრის შვილი მასზე დავასვენეთ.

დაკრძალვის შემდეგ, როდესაც ჭირის სუფრას მივუსხედით, ყველას დამტირებელი ძველი ტახტი გამახსენდა. ჩუმად ავდექი და ჩემთვის ნაცნობ სარდაფს მივაშურე. ფარანი არ მქონდა და გზას ასანთის ღერით ვინათებდი.

ზუსტად იმ ადგილას, სადაც ადამიანის უმადურობაზე მომჩივანი ძველი ტახტის ნარჩენები ეყარა, მისი შემცვლელი ზიზლით დაეპირქვავებინათ. მწარედ ჩამეცინა.

მეორე დღეს, ჩვენი უბნის მკერავ, ნათელა დეიდასთან ერთად, ნაცნობ სარდაფში ჩავედი. ნათელამ ტახტის ზომები აიღო და ორ დღეში ტახტი უბრალო ნაჭრისაგან შეკერილი შალითით შევმოსე.

ამით თითქოს ძველი ტახტის ხსოვნას პატივი ვეცი.

ბეჭდობით, მზებში, ოსტატობით და სხვა

სხვისგან განსხვავებით მზიანი ამინდი ხშირად შორეულ მოგონებებში გადამისვრის. რამდენჯერ ყოფილა, ვიჯექი ზღვის პირას გარინდული, ვუსმენდი ტალღების შრიალს და მთელი სხეულით ვგრძნობდი, თუ როგორ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს ტალღები და ზღვის კენჭები. ალბათ, ზღვის ფსკერიდან დაბარებულ შორეულ ამბებს გადმოსცემდნენ მათ, ხოლო კენჭები მოკითხვას აბარებდნენ თავიანთ ნათესავებსა და მეგობრებთან. ხშირად შემიმჩნევია, როგორ შემორჩება ნაპირს ტალღის ნაწილი, ალბათ იმიტომ, რომ მან ამბის მოყოლა ვერ მოასწრო. რამდენიმე პატარა ტალღის შემდეგ ისევ დიდი ტალღა შემოუტევეს ნაპირს და ზღვის ფსკერისკენ დაინეგს, ხოლო ზღვის რამდენიმე კენჭი ცელქად თან გაჰყვება მშფოთვარე ტალღას. ნაპირზე დარჩენილი მისი თანამოძმენი კი კეთილად დაბრუნებას უსურვებენ მათ. უკვე ხანში შესული, ათასგვარ ჭირ-ვარამ გამოვლილი ბრძენი ქვები, რომლებიც სანაპიროსგან მოშორებით დაბინავებულან, პირჯვარს გადაინერენ და მათ ახალგაზრდა მეგობრებს, ღმერთს შეავედრებენ რამეთუ უფალმა იცის, შეძლებენ თუ არა ისინი უკანა გზაზე დაბრუნებას.

როგორი მსგავსებაა ბუნებასა და ადამიანებს შორის, ბრძენი ქვები უკვე ხანში შესულ ადამიანთა მოდგმას მაგონებენ, ხოლო ანცი კენჭები იმ პატარა ბიჭს, რომელმაც ჯერ სანაპიროზე დაგდებული „კონსერვის“ ქილა პელეს ილეთით თავზე გადმოიგდო, ხოლო მერე ფეხის ძლიერი

დარტყმით ბეტონის კედელს მიანარცხა. შემდეგ დასწვდა სილაზე ჯარისკაცებით ჩამწკრივებულ სიბ ქვებს და ერთმანეთის მიყოლებით ზღვის ზედაპირზე აასრიალა. ყოველი მისი გატყორცნილი ქვა, რომელიც ტალღაზე ასხლეტას შეძლებდა, დიდ სიხარულს ანიჭებდა. უცებ მისი მზერა ერთმა პატარა ქვამ მიიპყრო, უმალ დასწვდა მას და ხელის მალლა აწვით გასატყორცნად მოემზადა. ის იყო, უნდა ესროლა, რომ მზის სხივმა თვალი მოსჭრა. ხელი დაბლა დაუშვა. უცებ საიდანლაც ყრუ კვნესა შემოესმა, გაიხედ-გამოიხედა, არავინ სჩანდა, ქვა ხელში შეათამაშა და ხელახლა სასროლად მოემზადა.

- რას მერჩი, ბიჭუნა? რა დაგიშავე, რატომ გინდა, დამაბრუნო იქ, საიდანაც თავის დაღწევას ერთი საუკუნე მოვანდომე, კარგად, დამხედე, ჩემს ზედაპირზე უამრავ ღარს შეამჩნევ, ეს ჩემი მძიმედ განვლილი გზის ხაზებია. დამინდე, გემუდარები!

ბიჭმა უცებ ხელზე რომელშიც ქვა ეჭირა სისველე იგრძნო. ქვიდან წყლის წვეთები ჟონავდა - საბრალო ქვა თავის გაჩენას ტიროდა.

ბიჭუნა შეკრთა, მიხვდა, რომ ყველაფერი ცხადში ხდებოდა, ქვა უმალ ხელიდან გააგდო და მთელი ძალით ბულვარისკენ მოკურცხლა.

დაღუპვას გადარჩენილი ქვა კი თანამოძმეებმა გულში ჩაიკრეს, გვერდით გადგნენ და ადგილი მას დაუთმეს.

- გმადლობთ, მზეო, თანადგომისთვის, დაღადებდა ქვა.

მინდა გვესალბუნოთ, მინდა დაგიჩოქოთ,
მინდა გესაუბროთ, მოგვენატრეთ როგორ...

თქვენთან ხეტიალი და სიმღერა მინდა,
ნიჟარების სითბო წამოგვირიფო ზღვიდან...

შენ, აფხაზო ღვიძლო, მუძუმტეო ჩემო,
უბეში გეავს გველი, ერთგულეებს ჩემობს...

ზღვა-ხმელი სურს მოსკალს, თვალში გაურის ნაცარს,
გაიღვიძე ძაღუ, ჩემო აფხიარცა...

ნუთუ დაგავიწყეს მოძმე ჩონგურის ხმა,
გულმა იგრძნოს გული, სისხლი იცნოს სისხლმა...

შენ მოყვასის ნიღბით მოსეულო მტერო,
მართლა გამარჯვება აღარ დაიჯერო...

მოუარე შენსას, ტუნდრასა და ტრამალს,
მე ჩემ მუძუმტესთან, გასაყოფი რა მაქვს...

გაიღვიძე ძაღუ, ჩემო აფხიარცა...
დავუაროთ ერთად ხორუმი და ფარცა...

ვაგუგუნოთ, ძმებო, ვარადა და რერო,
ლაქვარდები ვხატოთ, სიყვარულზე ვწეროთ...

ჩვენი ტკივილები უნდა გავამრთელოთ,
ისევ ერთიანი იყოს საქართველო!


როგორც გვანსოვს უწინ, როგორც იყო აღრე,
ერთად ვუძეურნალოთ ჩვენ წელულსა და დარდებს;

ერთად გავლაღდებით, ერთად გავინარებთ,
გავათენებთ ერთად იმ შაბათის დამეს...

ერთად გავშლით სეფას, ერთად დაუკლავთ ქაწარს,
ერთად ავატირებთ ჩონგურ-აფხიარცას.

ერთად გვაპურებენ ბარძიმიდან მირონს,
გაბრწეინდება ზღვა და ზეცა უნაპირო...

ასეთია უფლის ნება-განაჩენი,
ერთად შევსვით ეანწი ჩვენი გადარჩენის...



მამა გაბრიელის რჩევები

- * ღვთის სახელის ხსენება უმიზეზოდ არ შეიძლება, ხშირად რომ ახსენებ მესამე მცნება ირღვევა.
- * ღვთის განგების იმედი არასოდეს დაჰკარგო!!!
- * ილოცეთ ყველასათვის, ამას გიტოვებთ ანდერძად. ილოცეთ, ლოცვა მთებს დაძრავს.
- * „ზღვები დაშრება, მთები დაიშლება, ქრისტეს დიდება არ მოიშლება.“
- * სიყვარულს ვერ დაიმკვიდრებ თავგანწირვის გარეშე. ღმერთს ლიტონი სიტყვები არ უყვარს, ღმერთს უყვარს საქმე, კეთილი საქმე არის სიყვარული.
- * შინაგანი ტანჯვის გზით უნდა მიაღწიოს ადამიანმა რწმენამდე და მოიპოვოს სიყვარული.
- * შენი მტერი უნდა გიყვარდეს, ხოლო ქრისტეს მტერი როგორ უნდა შეიყვარო?! მაგრამ არ უნდა გძულდეს და აქედან მოდის სიყვარული.
- * ვინც ცდილობს მოყვასის სიკეთისათვის, ის არგებს ჯერ საკუთარ თავს და მერე სხვას.
- * მარხვა ცოდვების სინანულია, როცა საჭმელი არ გახსოვს.
- * ყველას უკან თავისი სარკე აქვს და იქ ჩანს მათი ცოდვები.
- * კარგად დაიმახსოვრე, ვინ სად გარბის შენი საქმე არ არის, შენ დაჯექი და შენ ცოდვებზე იტირე.
- * როდესაც საჭმელს ჭამ უნდა გახსოვდეს, მშჰიერი, მცყურვალი, გაჭირვებული, ამაშია სასუფეველის პოვნა.
- * ჯვარშია მთელი ძალა!!!
- * თუ ღვთის მცნებებს არ იცავთ, ნუ დალლით უფალს ბევრი ლოცვით, არ მოგისმენთ და ლოცვა ცოდვად შეგირაცხებათ.
- * წმიდა წინასწარმეტყველების ენუქისა და ელიას ბრძოლას ანტიქრისტესთან ტელევიზიით გადასცემენ.
- * ნეტავ შეიცნოთ ღმერთი, ნეტავ გაუგოთ ღმერთს!!



სრულიად საქართველოს ეცნობს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვეტიკანებს ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავი მიულოცა



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ და მხარის გუბერნატორმა ლევან შონიამ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს ფაშიზმზე გამარჯვების დღე პირადად მიულოცეს და ომში გამარჯვების 70 წლისადმი მიძღვნილი პრემიერ-მინისტრის საჩუქარი, მედალი გადასცეს.

მუნიციპალიტეტის გამგებამ ტრადიციულად წელსაც მეორე მსოფლიო ომის მონაწილე შვიდ ვეტერანს 500-500 ლარი პირად ანგარიშზე ჩაურიცხა. ასევე სიმბოლური ფულადი თანხა, 200-200 ლარი მარჩენალ დაკარგულებსა და ზურგის მუშაკებს გადაეცათ.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლო-

რაიამ და გამგეობის წარმომადგენლებმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს და საფლავები თაიგულებით შეამკეს.

საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოში მცხოვრები 1800 ვეტერანი 1000 ლარიან დახმარებას მიიღებს, ხოლო მარჩენალ დაკარგული 500 ოჯახი 500 ლარიან დახმარებას.

გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ ვეტერანებს



სახლში ესტუმრა და პრემიერ-მინისტრის სახელით მისალოცი ბარათი და საჩუქრები გადასცა.

მეორე მსოფლიო ომის დღესთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის პატრონაჟითა და ნატოს საინფორმაციო ცენტრის ინიციატივით რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მართონი გაიმართა. გამარჯვებულები მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

ნატოს საინფორმაციო ცენტრის ინიციატივით ასევე მოენყო გამწვანების აქცია მესხიას სახელობის უნივერსიტეტსა და კოსტავას ძეგლთან, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს და ხეები დარგეს.



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს სახლებს აუშენებს



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა უპრეცედენტო პროექტს იწყებს. უკიდურესად შეჭირვებულ და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები ამორტიზირებულია და რემონტს არ ექვემდებარება, გამგეობა 22 – 41 კვ/მ საცხოვრებელ სახლებს ბენეფიციარებს საკუთარ კარ-მიდამოში აუშენებს.

მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის 14 სხვადასხვა სახის პროგრამიდან საცხოვრებელი სახლების აშენება ერთ-ერთი პროექტია, რომელიც მიმდინარე წელს დაიწყო. აღნიშნულ საკითხზე სამუშაოდ შექმნილია სპეციალური კომისია, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი, ედიშერ თოლორაია ხელმძღვანელობს.

უსახლკაროთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კომისიას უკვე შემუშავებული აქვს ასაშენებელი სახლის ესკიზები და დეტალური მონაცემები და ასევე შეფასების კრიტერიუმი, რის მიხედვითაც მოხდება კონკრეტული ოჯახის სარეიტინგო ქულების დადგენა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე და პროექტის იდეის ავტორის გურგენ სართანიას განცხადებით – პროგრამის განხორციელებისთვის ადგილობრივ ბიუჯეტში 350 ათასი ლარია გათვალისწინებული. წელს, დაახლოებით, 20-მდე ასეთი სახლის მშენებლობა იგეგმება. აღნიშნული პროგრამა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ე.წ. ერთჯერადი 100 ლარიანი დახმარების გაცემის ნაცვლად ხორციელდება, – განმარტავს სართანია.

მუნიციპალიტეტის გამგეობაში სოციალურად

დაუცველებისთვის ასევე სხვადასხვა სოციალური პროგრამები მოქმედებს, მათ შორის გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფა, შშმ პირების და ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების ერთჯერადი დახმარება და სხვა.

პროექტის მიხედვით აშენდება ერთოთახიანი და სამოთახიანი სახლები. ერთოთახიანი სახლები მარტოხელა და ორ სულიანი ოჯახებისთვის აშენდება, ხოლო სამოთახიანი სახლები, სამი და მეტი წევრისგან შემდგარი ოჯახებისთვის. პროექტის ფარგლებში სახლებს დასრულებული ფორმა ექნებათ. ბენეფიციარის საცხოვრებელი სახლი მონესრიგებული სამზარეულოთი, სველი წერტილებით, მზის გამათბობელით, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებითა და ლამინირებული იატაკით იქნება უზრუნველყოფილი.

ამ ეტაპზე გამგებლის წარმომადგენლებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალებათ ხუთამდე მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრები ოჯახების მონაცემების შედგენა, რომელიც მოგვიანებით განსახილველად სპეციალურ კომისიას წარედგინება. თითოეული ოჯახის განცხადება საცხოვრებელი სახლის აშენების მოთხოვნით კომისიის მიერ ადგილზე იქნება შესწავლილი და განხილული.

საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტი მიმდინარე წელს დაიწყება და მომავალ წელსაც გაგრძელდება.

სპეციალურ კომისიაში ჩართული არიან, როგორც საკრებულოსა და გამგეობის ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და აქტიური მოქალაქეები.





სრულიად საქართველოს ემცნობს

26 მაისი მარტვილი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე მარტვილის მუნიციპალიტეტში საზეიმოდ აღინიშნა. ჩატარდა კულტურული და სპორტული ღონისძიებები, რომელსაც ესწრებოდნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი ალექსანდრე გრიგალავა, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია და სხვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ალექსანდრე გრიგალავამ სრულიად საქართველოსა და მარტვილებს მიულოცა ეროვნული დღესასწაული: „26 მაისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია საქართველოს ისტორიაში. ყველა მარტვილელს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას ვულოცავ ამ ეროვნულ დღესასწაულს, ვუსურვებ სიკეთეს, ბედნიერებასა და გაბრწყინებულ ქვეყანაში ცხოვრებას“. ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები: გივი ელიავას სახელობის მხრეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მოენყო შემოქმედთა ნამუშევარების გამოფენა, საჯარო ბიბლიოთეკაში მოენყო 26 მაისის ამსახველი ფოტომასალების გამოფენა-დათვალიერება, გაიმართა სპორტული შეჯიბრებები. მონაწილეობდნენ სპორტული სკოლის აღსაზრდელები (ლია ტურნირი ჭადრაკში, ჭიდაობა, კარატე, ტაეკვანდო, უშუ, კიკბოქსინგი და სხვა), საფეხბურთო სკოლის ორგანიზებით მარტვილის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა საფეხბურთო ფესტივალი, ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლში გაიმართა საზეიმო კონცერტი ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით, დღის ბოლოს კულტურის სახლში სპექტაკლი "დარაბებს მიღმა გაზაფხულია", მარტვილის მოზარდ-მაყურებელთა თეატრალური დასის მსახიობების მონაწილეობით.



დიდი ჭყონი-ლედგებე-გურძემი-კინია-ნოლის გზის ასფალტობე- ტონის მოწყობის სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა



მარტვილის მუნიციპალიტეტში დიდი ჭყონი- ლედგებე- გურძემი- კინია- ნოლის გზის ასფალტობეტონის მოწყობის სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა, რაც ასფალტობეტონის საფარის პირველი ფენის დაგებას გულისხმობს.

პროექტის ფარგლებში დაიგო 6,430 კილომეტრიანი გზა. ასევე მოეწყო გზის სხვადასხვა დამხმარე ნაგებობები, ეზოში შესასვლელი ლითონის მილხიდები, მთლიანად გამოიცვალა სანიაღვრე სისტემა.

პროექტი განხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა. პროექტის ღირებულება 1 320 200 ლარია, სამშენებლო სამუშაოები სს „არქეოპოლისმა“ შეასრულა. დიდი ჭყონი-ლედგებე-გურძემი-კინია-ნოლის გზის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წლის 25 ივნისს დასრულდება. სულ სამუშაოზე დასაქმებულია 160 ადამიანი, რომელთა უმეტესობა ადგილობრივი მცხოვრებია.

მარტვილში კიდევ ერთი საბავშვო ბაღი გაიხსნა

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯოლევეში საბავშვო ბაღი გაიხსნა. ბაღი საზეიმოდ გახსნა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ, გამგებლის მოადგილემ გიორგი გოროზიამ და სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების ხელმძღვანელმა ირმა გაბისონიამ. თანამედროვე სტანდარტებით გარემონტებული და ინვენტარით აღჭურვილ ბაღში 19 ალსაზრდელი და 3 აღმზრდელი. ბაღის გახსნას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, ბაღის ცენტრის ადმინისტრაციის თანამშრომლები და სოფლის მოსახლეობა. მშობლებმა და პედაგოგებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადეს.



9 მაისი მარტვილში



9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღე საზეიმოდ აღინიშნა მარტვილის მუნიციპალიტეტში. ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში ჩატარდა პარაკლისი ომში დაღუპულთა სულების მოსახსენიებლად. II მსოფლიო ომის ვეტერანებს შეხვდნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი ალექსანდრე გრიგალავა, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. ალექსანდრე გრიგალავამ სამამულო ომის მონაწილეებს და სრულიად საქართველოს მიულოცა ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლის იუბილე, მშვიდობა,

ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვა. ვეტერანებმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს შინმოუსვლელთა მემორიალი. პრემიერ-მინისტრის ინიციატივით 17 ვეტერანს 1000 ლარიანი, ხოლო 21 მარჩენალდაკარგულს 500 ლარიანი დახმარება და მედლები გადაეცა, ასევე მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებამ და საკრებულომ ომის ვეტერანებს გადასცა 150 ლარის ოდენობის თანხა და საჩუქრები. ბოლოს გაიმართა საზეიმო სადილი. ვეტერანებმა გამოხატეს მადლიერება გულთბილი დახვედრისა და დაფასებისათვის.





სრულიად საქართველოს ამცნობს

თხილის მნარმოებელთა ფორუმი ანაკლიაში

ანაკლიაში, სასტუმრო „პალმ ბიჩში“ საქართველოს თხილის დარგის მესვეურთა ფორუმი ჩატარდა. რომელშიც მონაწილეობა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ, გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გორა ქაჯაიამ, ასევე ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), ENPAR-ის განმახორციელებელი კონსორციუმებისა და ბენეფიციარი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლებმა მიიღეს. ფორუმში მონაწილეობას ფერმერები, აგრონომები, თხილის ადგილობრივი და უცხოური სანარმოების ხელმძღვანელებმა დასწრებულდნენ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ ფორუმის მონაწილეებს თხილის დარგის განვითარების ახალი სახელმწიფო პროგრამა გააცნო.

გუბერნატორმა ლევან შონიამ კი შეკრებილებს თხილის ფასის დინამიკა გააცნო და მოსახლეობისთვის მიღებულ სარგებელზე ისაუბრა, გუბერნატორმა აღნიშნა, რომ თხილი რეგიონისთვის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი საექსპორტო პროდუქტია და თხილის კულტურის განვითარებას სახელმწიფო ხელს შეინწყობს:

„ჩვენი ქვეყნისთვის თხილი უმსხვილესი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქტია. შარშანდელი მონაცემებით საქართველოდან თხილის ექსპორტის ჯამურმა ღირებულებამ 200 მილიონ დოლარამდე შეადგინა, რითაც მანამდე ლიდერ ღვინის ექსპორტს გადააჭარბა და პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

ჩვენი ხელისუფლების პირობებში, როდესაც ბიზნესზე ზენოლა არ ხდება და ლობირებულ ფასებს

ადგილი არ აქვს, თხილის საბაზრო ფასმა არნახულ ნიშნულს მიაღწია. თუ 2004 წლიდან 2012 წლამდე თხილის მაქსიმალური ფასი 4 ლარი იყო, დღეს მისი ფასი 13 ლარს აღწევს. საქართველო, თხილის მწარმოებელი და ექსპორტიორი უმსხვილესი ქვეყნების პირველ ათეულში შედის და ეს მეტწილად ჩვენი რეგიონის დამსახურებაა.

თხილს, სამეგრელოში სოფლად მცხოვრები თითოეული ოჯახისთვის კეთილდღეობა მოაქვს და ჩვენი



მიზანია ეს კეთილდღობა გავზარდოთ. მთავრობა ამისთვის ყველფერს აკეთებს. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი პროექტია დანერგე მომავალი და სხვა პროგრამები, რომლებიც ფერმერებსა და გლეხებს ახალ შესაძლებლობებს აძლევს“ - აშნიშნა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან შონიამ ანაკლიაში ჩატარებულ ფორუმზე.

ფორუმის მონაწილე მხარეები გაეცნენ საქართველოს მთავრობის გეგმებსა და პროგრამებს თხილის დარგთან მიმართებაში და აგრეთვე წარმოადგინეს თავიანთი ხედვები, პროგრამებსა და დარგში არსებულ პრობლემათკაზე.

თხილის მესვეურთა ფორუმი ანაკლიაში ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია ”ოქსფამ“-ის ორგანიზებით ჩატარდა.

26 მაისი სოფი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი, ფეხბურთში მუნიციპალიტეტის პირველობის ფინალური თამაში ქ. სოხის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა, სადაც ერთმანეთს ხეთისა და სოხის გუნდები დაუპირისპირდნენ. მატჩის ძირითად დროში ანგარიში ფრედ დაფიქსირდა- 1:1, ხოლო პენალტების სერიით ტურნირის გამარჯვებული ხეთის საფეხბურთო გუნდი გახდა. მესამე ადგილი სოხის საფეხბურთო გუნდმა მოიპოვა. ფეხბურთის ფინალური მატჩის შუალედში გაიმართა გოგონათა შორის შეჯიბრი მძლეოსნობაში და ბიჭებს შორის მკლავჭიდი. ღონისძიებებს სოხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიმერ ჯობავა და სხვა ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ, რომლებმაც გამარჯვებულ გუნდებს ფულადი პრიზები, საჩუქრები და სიგელები გადასცეს.



ქ. სოხის კულტურის სახლში გამოფენა და მხატვრულ-ლიტერატურული ღონისძიება „ანმყო, შობილი წარსულისაგან“ ჩატარდა, რის შემდგომაც მურმან ჯინორიას მონო სპექტაკლი- „ქარი მწყურია მე პირდაპირი“ იხილა მაყურებელმა.

სოხის მუნიციპალიტეტის გამგეობა სრულიად საქართველოს ულოცავს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და ეროვნული გმირის, ქართველი ხალხისგან ეროვნულ სინდისად და რაინდად აღიარებულ მერაბ კოსტავას დაბადების დღეს.

გოჩა ქაჯაიას შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციასთან

სოხის მუნიციპალიტეტის გამგებელს გოჩა ქაჯაიას, არასამთავრობო ორგანიზაცია გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ასოციაციის მწვანე მომავლის დირექტორი ნინო ურიდია პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში შეხვდა. შეხვედრაზე ისაუბრეს პროექტზე „სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და სამთავრობო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდაზე, ერთობლივი დიალოგისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით, ენერგეტიკული პოლიტიკის გაუმჯობესების სფეროში, მდგრად ენერგო - ალტერნატივებზე, ფოკუსირებით“. პროექტის მიზანია გარემოს დაცვითი მართველობის გაუმჯობესება და ახალი ენერგეტიკული პოტენციალის შექმნისთვის ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემების გააქტიურების გზით, მათი ჩართულობით გადანყვეტილების მიღების პროცესში.

პროექტი ფინანსდება გლობალური გარემოს დაცვითი ფონდის (GEF SGP) მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები შეხვედრებს სოხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებთან გეგმავენ.





სწოლია საჭროელოს ამცობს

მოსწავლთა ხალხური თვითგანმანათლებლის ოლიმპიადა ნალენჯისაში

მიმდინარე წლის 8 მაისს საგანმანათლებლო განყოფილებამ ნალენჯისის კინო-თეატრის დარბაზში ჩაატარა მოსწავლეთა ხალხური თვითგანმანათლებლის ოლიმპიადამუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის, კონკურსში 12 სკოლის ქორეოგრაფილი და ხალხური ანსამბლები ღებულობენ მონაწილეობას, ღონისძიებაზე მუშაობდა სპეციალური ჟიური, რომელიც მონაწილეებს სხვადასხვა კრიტერიუმების შესაბამისად აფასებდა. საბოლოო შედეგები გამოაცხადა სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორმა თამარ კვარაცხელიამ.

ფოლკლორში- გრანპრი მოიპოვა საჩინოს საჯარო სკოლამ.

I ადგილი-მიქავას საჯარო სკოლა.

II ადგილი-ნალენჯისის II საჯარო სკოლა.

III ადგილი-ნალენჯისის I საჯარო სკოლა.

ქორეოგრაფიაში- გრანპრი- ქ.ჯვარის I საჯარო სკოლა.

I ადგილი-ლიის საჯარო სკოლა.

II ადგილი-ნალენჯისის I საჯარო სკოლა.

III ადგილი-ჯგალის საჯარო სკოლა.

გამარჯვებულებს გადაეცათ დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები.

ასევე გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული მოსწავლეები:

ლადო ჯომიდავა, სალომე მიქავა, ფალანდა ღვინჯილია, დავით მარშავა.

ოლიმპიადაში მონაწილე სკოლებს კი გადაეცათ სიგელები.



რეგიონი ჩვენს ლაღიის საღამო



მიმდინარე წლის 14 მაისს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში სახელოვნებო განყოფილებამ ჩაატარა რევაზ ლაღიის შემოქმედებითი საღამო, სადაც მონაწილეობა მიიღეს სახელოვნებო განყოფილების მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, ანსამბლებმა; „ლაკადა“ და წალენჯიხა“. საღამოზე შესრულდა ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოებები.

ლონისძიების ორგანიზატორი და სცენარის ავტორი იყო პედაგოგი ლალი ვაშაკიძე. საღამოს უძღვებოდნენ: ქეთი ხარჩილავა და ანი შელია.



სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია

მიმდინარე წლის 6 მაისს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიმართა მოსწავლეთა 69-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში გამარჯვებულ მოსწავლეთა და მასწავლებელთა დაჯილდოების ცერემონიალი. კონფერენციაში 20 საჯარო სკოლის 155 მოსწავლე 25 სექციაშიონ ღებულობდა მონაწილეობას. სპეციალურმა ჟიურიმ შეარჩია საუკეთესო ნამუშევრები, რომლებიც გადაეგზავნა თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეს, საიდანაც მიღებული შედეგები დამსწრე საზოგადოებას გააცნო სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორმა თამარ კვარაცხელიამ.



28 მოსწავლე დაჯილდოვდა სიგელით, 33- მეორე ხარისხის დიპლომით, ხოლო 7 -მა მოსწავლემ

მოიპოვა პირველი ხარისხის დიპლომი.

მონიკა ღვინჯილია- მე-2 საჯარო სკოლა, ქართული ენისა და ლიტერატურის სექცია.

ხატია კვარაცხელია- ჯგალის საჯარო სკოლა- უცხო ენის სექცია.

თამუნა ზარანდია- ლიის საჯარო სკოლა- ჟურნალისტიკის სექცია.

ტამო ზიფია- საჩინოს საჯარო სკოლა- ისტორიის სექცია.

თამუნა ზარანდია- ლიის საჯარო სკოლა- სამართალმცოდნეობის სექცია.

მარგარიტა ჩანგელია- ჯგალის საჯარო სკოლა- გეოგრაფიის სექცია.

ზვინაღ ნაჭყაბია- სკოლა ლიცეუმ „ქიაჩი“- ტურიზმის სექცია.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პედაგოგებმა ასევე მიიღეს სიგელები და მადლობის ბარათები.





სწოლია სჯაროელოო აცნობს

სენაკის გამგობასა და ჩინელ ინვესტორებს შორის შეხვედრის განვითარების საკითხებზე შემოკანდუმი გაფორმდა



სენაკის გამგობასა და ჩინურ კომპანია „ტურიზმის საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფს“ შორის მემორანდუმი გაფორმდა. რომლის თანახმადაც ჩინური კომპანია ბალნეოლოგიურ კურორტ მენჯის განავითარებაზე მზაობას გამოთქვამს, რისთვისაც 250 მილიონ დოლარამდე ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს.

ჩინური კომპანიის დირექტორმა იუან სინ ჯონმა მემორანდუმის გაფორმებამდე სენაკელებს, გამგობის სააქტო დარბაზში, მენჯის განავითარების პროექტი წარუდგინა. კურორტის აღდგენით სამუშაოებზე 1000-მდე მოქალაქე დასაქმდება, საიდანაც 80% ადგილობრივი მოსახლეობა იქნება.

„პროექტის განხორციელებას დაგინებთ მაშინვე, როგორც კი ყველა ხელშეკრულება გაფორმდება. მშენებლობის დასაწყისისთვის 300 ადამიანს დავასაქმებთ, შემდეგ კი ეს ციფრი 1000-მდე გაიზრდება. ამ პროექტის მთავარი დანიშნულება ტურიზმის განვითარება,

გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების შექმნაა“, განაცხადა იუან სინ ჯონმა.

სენაკის გამგებელმა გორა დგებუაძემ პროექტს სენაკისთვის უმნიშვნელოვანესი უწოდა და აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელების პროცესში და შემდეგ ეტაპზე სენაკელები სარგებელს მიიღებენ.

მემორანდუმის გაფორმებას სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის, რეგიონული პროექტების კორდინირების სამსახურის უფროსი დათო კოდუა ესწრებოდა. რომელმაც ინვესტორებს პროექტთან დაკავშირებით დეტალური კითხვები დაუსვა.

კურორტ მენჯის ძირითადი სამკურნალო ფაქტორია გოგირდწყალბადიანი ქლორიდულ-ნატრიუმიანი მინერალური წყალი, რომელსაც იყენებენ აბაზანებისათვის სახსრების, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ზოგიერთი დაავადების დროს.

„მე მამღერებს სიუვარულის აფეთქება უეცრად...“

ხუტა ბერულავა დაიბადა ზუგდიდში, დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, შემდეგ მაქსიმ გორკის სახელობის მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტი (1952). იყო გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი. 1967-1979 წლებში გამომცემლობა „განათლების“ დირექტორი. ლექსებს 1941 წლიდან აქვეყნებს, პირველი კრებული 1944 წელს გამოვიდა. ბერულავა წერს ბავშვებისთვისაც, თარგმნის რუს და სხვა ეროვნების პოეტებს. ბერულავას ნაწარმოები თარგმნილია უცხო ენებზე. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.



მე მამღერებს ცაზე ნისლი

მე მამღერებს: ცაზე ნისლი
და მიწაზე ნაკადული,
ბექობიდან შეძახილი
მთის უბეში დაკარგული;

მე მამღერებს: ჩემი კერა
ჩემი გმირი წინაპარი,
ბუხრის ზირას ვაგონილი,
ძველი ლექსი და ზღაპარი;

მე მამღერებს: მთვარის შუქი
და ვარსკვლავთა ნელი კრთომა,
ვარდობისთვე მსიარული,
კალთასავსე შემოდგომა;

მე მამღერებს: ცეცხლის ალი
რომ ედება უაუჩოებს,
ცისკარი რომ ლალით სატავს
გულგადელილ ატმის რტოებს;

მე მამღერებს: სიუვარულის
აფეთქება უეცარი,
სატრფოს თვალეხს მოწვევტილი
ორი ცვარი, ცრემლის ცვარი;

მე მამღერებს, მე მადღეღვებს
ჩემი მიწა და მამული,
ჩემი ტკბილი საქართველო,
ვაჟას ცრემლით დანაშული.

სიჩქარე

დეკემბერია თუ სვდები აპრილს,
ღამე დგება თუ ელავს ცისკარი,
ვით სუნთქვა დროის, ჩუმი და მძაფრი,
ჩრდილივით დაგდევს შენი სიჩქარე!

და გეჩვენება, თითქოს გვიანობ,
თითქოს დაჰკარგე სინათლის წილი,
ეს მაშინ, როცა, ადამიანო,
ცოტ-ცოტა მუდამ ვაკლია ძილი.

მისწლობით ზომავ გაფრენილ წამებს,
ძალიძალ ასეელ სიზმრიან თვალეხს,
და გენატრება რომ დადგეს ღამე,
და გენატრება გათენდეს ძალე.

გუშინდელ ჭაბუკს არ გინდობს ჯამი
და გეუბნება ჭაღარა ხარო...
რადგან სიცოცხლე არ იცდის წამით,
რადგან სიცოცხლე ქარივით ჩქარობს,

გარჯაც, ვალობაც, ალერსიც ქალთა,
უნდა მოასწრო ერთად ეოველი,
რომ დაგრჩეს ქვეყნად, ნეკროლოგს ვარდა,
შენი ზატარა სვეტიცხოველი!



რა ხდება ართროზის დროს



რა ხდება ართროზის დროს

ართროზს პიანისტებისა და სპორტსმენების დაავადებასაც უწოდებენ. ის უმთავრესად მათი ხვედრია, ვისაც ფიზიკური დატვირთვა დიდი აქვს და დიდხანს უწევს მუშაობა მჯდომარეს ან მდგომარეს. სტატისტიკური მონაცემებით, ართროზი 60 წელს გადაცილებულ თითქმის ყველა ადამიანს აღენიშნება, თუმცა ქალებში მაინც უფრო მეტად არის გავრცელებული. სახსრების ტკივილი, ჭრაჭუნი ან ტკაცუნი, მოძრაობისას დისკომფორტი ართროზის ძირითადი სიმპტომებია.

თავდაპირველად მათ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, არც ექიმთან მიდიან, პათოლოგიური პროცესი კი უფრო და უფრო ღრმავდება და საბოლოოდ ინვალიდობამდე მიყვავართ. მხოლოდ ართროზის დროული დიაგნოსტიკით, მისი ეფექტური მკურნალობით და, რაც მთავარია, შემდგომში რეგულარული პროფილაქტიკური ღონისძიებებით არის შესაძლებელი სახსრების შრომისუნარიანობის დიდხანს შენარჩუნება.

ართროზის დროს მიმდინარე პროცესები

ოსტეოართროზი სახსრის დაავადებაა, რომლის დროსაც ძვლების სასახსრე ზედაპირზე არსებული ხრტილოვანი ქსოვილი თანდათანობით იშლება. პათოლოგიური პროცესი მოიცავს არა მხოლოდ ხრტილს, არამედ სახსრის შექმნაში მონაწილე, უშუალოდ ხრტილის ქვეშ განთავსებულ (სუბქონდრიალურ) ძვლებს, მყესებს, სინოვიურ გარსებს, მთლიანად სახსრის კაფსულას და სახსრის ირგვლივ არსებულ (პერიარტიკულარულ) კუნთებს. პროგრესირებადი დეგენერაციული პროცესის შედეგად სასახსრე ხრტილი იშლება. მასზე

ნახეთქები და წყლულები ვითარდება, საბოლოო ჯამში კი ძვლების სასახსრე ზედაპირები სქელდება. ართროზი მთელი სახსრის დაავადებაა.

სასახსრე ხრტილი, მისი შენება და სხვა თავისებურებანი

სასახსრე ხრტილი მაღალსპეციალიზებული ქსოვილია, რომელიც ორგანიზმში ორმნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს - უზრუნველყოფს ძვლების სასახსრე ზედაპირების ერთმანეთზე სრიალს და მექანიკური დატვირთვისას თანაბრად ანაწილებს მას სახსრის ელემენტებზე. ამ ორი ფაქტორის გამო ძვლების სახსარში მოძრაობისას მატრავმირებელი ეფექტი მნიშვნელოვნად მცირდება. ძვლების სასახსრე ზედაპირზე არსებულ ხრტილს ნერვები და სისხლძარღვები არ გააჩნია, მისი კვება პასიურად ხდება სინოვიური სითხიდან და ქვეშ მდებარე (სუბქონდრიალური) ძვლების მკვებავი სისხლძარღვებიდან. სახსრის ძვალკუნთოვანი სტრუქტურის დაბალანსებული ფუნქციობა (აქტიური და პასიური პროტექცია) ხელსაყრელ





(როგორც ექიმები ამბობენ, პრევალირებს) კატაბოლიზმის (დაშლა-რღვევის) პროცესები. ამ პათოლოგიური პროცესის გამწვავები ჭეშმარიტი მიზეზი დღემდე დაუდგენელია. მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ დაავადების განვითარებაში მთავარ როლს ასრულებს შეუსაბამო სასახსრე ხრტილზე მოქმედ მექანიკურ დატვირთვასა და ამ დატვირთვისადმი ხრტილის წინააღმდეგობის უნარს შორის.

ართროზის სიმპტომები

ართროზის დროს ადამიანი, როგორც წესი, უჩივის სახსრების ჭრიალს. სპეციფიკური ხმა სახსარში ძვლების ერთმანეთზე ხახუნის გამო წარმოიშობა. პათოლოგიური პროცესის გაღრმავებისდაკვალად ხმის ძალა სულ უფრო იზრდება, იმდენად, რომ დაავადების მოგვიანებით სტადიაზე პაციენტის ძვლების ჭრიალი ან ტკაცუნის გარშემო მყოფებსაც ესმით. ართროზის საწყის სტადიაზე სახსრების არეში მხოლოდ ყრუ ტკივილი აღინიშნება. ძვლების სასახსრე ზედაპირებზე არსებული ხრტილის დაშლა-დაზიანების შემთხვევაში კი სახსარში მოძრაობა შეუძლებელი ხდება. ართროზი ყველაზე ხშირად მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსრებს აზიანებს, ხელის სახსრებს ასეთი რამ ნაკლებად ემოქმედება, თუმცა ადამიანი, რომელსაც მუდმივად ეტვირთება სახსრების ესა თუ ის ჯგუფი, ართროზის როგორც პროფესიული დაავადების განვითარების მაღალი რისკის ჯგუფში იმყოფება. მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსრების ართროზის დროს ადამიანს კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა უჭირს, მოძრაობა ძლიერ ტკივილს ჰგვრის, გადაცივება კი სახსრებში ტეხისა და შესივების შეგრძნებას იწვევს.

პროფილაქტიკა

ართროზის პროფილაქტიკისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოძრაობის რეჟიმს. როდესაც სახსრები ჯანსაღია, აუცილებელია მათი რეგულარულად და ზომიერად დატვირთვა. არა სტატიკურ დაძაბვასა და დატვირთვაზე (ძალისმიერი ვარჯიშები, სიმძიმეების აწევა და სხვა), არამედ მოძრაობაზე (სირბილი, სიარული, ცურვა და სხვა) ორიენტირებული ვარჯიშების შესრულება. ყოველივე ეს ხელს უწყობს ჭარბ წონასთან ბრძოლას, მიკროცირკულაციის გაუმჯობესებას, სახსრის კვებასა და მისი სიჯანსაღის შენარჩუნებას.

პირობებს ქმნის ხრტილის ნორმალური, ჯანმრთელი მდგომარეობის შესანარჩუნებლად. სახსრის აქტიურ დაცვას (პროტექციას) მის ირგვლივ არსებული (პერიარტიკულარული) კუნთები ახორციელებს. ამ კუნთების წყალობით დარტყმისა და ხტუნვის დროს „ნეგატიური ენერჯია“ აკუმულირდება, სახსარზე მექანიკური დატვირთვა თანაბრად ნაწილდება, რითაც ხრტილის ტრავმული დაზიანების ალბათობა მაქსიმალურად მცირდება. პასიურ პროტექციას უზრუნველყოფს ხრტილის ქვეშ მდებარე (სუბქონდრიალური) ძვლები. ისინი ხრტილოვან ქსოვილზე გაცილებით მტკიცეა, მაგრამ სიმტკიცით საგრძნობლად ჩამორჩება ძვლის სხვა ნაწილებს. მექანიკური დატვირთვისას მის ძირითად ნაწილს სწორედ უშუალოდ ხრტილის ქვეშ მდებარე ძვლის ღრუბლისებრი ნაწილი იღებს საკუთარ თავზე და ამით იცავს ხრტილს გადატვირთვისგან. სასახსრე ხრტილი შედგება:

უჯრედებისგან - ქონდროციტებისა და ქონდრობლასტებისგან;

მატრიქსისაგან, რომელიც წარმოდგენილია კოლაგენური ბოჭკოებითა და პროტეოგლიკანებით;

პროტეინების არაკოლაგენური მატრიქსისგან.

ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში სასახსრე ხრტილში გამუდმებით მიმდინარეობს სინთეზის (ახლად წარმოქმნის) და დეგრადაციის (დაშლა-რღვევის) პროცესები, რომლებიც ფიზიოლოგიურ ცვლას შეადგენს. ცენტრალური როლი ამ პროცესებში ქონდროციტებს აკისრია. ციტოკინებისა და ზრდის ფაქტორების გავლენით ხან იზრდება, ხანაც მცირდება ხრტილში მიმდინარე ბიოსინთეზური პროცესების ინტენსივობა. ფაქტია, რომ ხრტილის ნორმალური ფუნქციონების პირობებში ეს პროცესები დაბალანსებულია. ოსტეოართროზის დროს კი ეს ბალანსი ირღვევა. ჭარბობს

ბაჭიხვაბაში ბაონვთონი შაოქაძის სხოვხების ბზა



სის სიმაღლე რომ ფსევპიდან იხომაბა, ეს ვიცით. არადა თანამედროვე ცივილიზაცული ცხოვრება ხანდახან წარსულს ნისლად გადაეფარება და მხოლოდ წინ მიიღვინს.

წიგნი, „ხალხური სიმღერის მოამბანი“ ლადო გეგაჭკორის ჩანაწერებზე დაყრდნობით შეიქმნა, რომელიც მთელი სიბრძნე-სიბანით ასახავს ჩვენი ფსევპის სიძლიერას. მებრული (და არამარტო) ჯიჰისა და გენის გენიალურობას.

გადაწყვიტეთ ქართული ფოლკლორის კიდევ უფრო სიღრმისეულად გაცნობის მიზნით შევქმნათ ახალი რუბრიკა: „რაც დავიწყებით არ იბინდება“ და ყოველ ნომერში შემოგთავაზოთ მებრული მომღერალი მოახება თუ ცალკეული პიროვნებები, ვინც შთამომავლობას მოკრუს საბანეური შემოუნახა.

ელენე ჭუბაბრია



ელენე ფაჩულია-ჭუბაბრია დაიბადა 1905 წლის 13 მარტს ბათუმში. მამამისი, ალექსი ფაჩულია, საკმაოდ შეძლებული ვაჭარი იყო; დედა - ანასტასია ჩხიკვიშვილი შეესანიშნავად მღეროდა და

მელიტონ კუხიანიძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქართული ხალხური სიმღერის გუნდი, სადაც ელენე ერთ-ერთი წამყვანი მომღერალი იყო. ამ გუნდში ხალხური სიმღერების გარდა ასრულებდნენ ქართველი კომპოზიტორების - ნიკო სულხანიშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის, დიმიტრი არაყიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის, აგრეთვე უცხოელი კლასიკოსი კომპოზიტორების ნაწარმოებებსაც. ამ გუნდმა გამარჯვება მოიპოვა სრულიად საქართველოს მომღერალთა გუნდების ოლიმპიადაზე 1929 წელს.

უკრავდა გიტარაზე და ჩონგურზე. ელენემ პატარაობიდანვე გამოამჟღავნა სიმღერისადმი მიდრეკილება.

მაგრამ უზრუნველყოფილი ცხოვრება მისთვის მალე დამთავრდა. დედამისი 35 წლისა გარდაიცვალა. ისედაც ხელმოომჭირნე მამამ შვილებზე ზრუნვას კიდევ უფრო უკლო და ელენეს გიმნაზიაში სწავლის საფასურის გადახდაც კი გაუჭირდა. აქ მას გიმნაზიის სიმღერის მასწავლებელი ლოტბარი იუსტინე კალანდაძე დაეხმარა. ელენე მის გუნდში საეკლესიო საგალობლებსაც ასრულებდა. ეკლესიაში სოლისტად გალობა პატარა ელენეს სწავლის საფასურთან ერთად დამის გამოკვებაშიც ეხმარებოდა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ელენე აქვე დარჩა სიმღერის პედაგოგად. 1921 წელს ბათუმში

1928 წელს ელენე გათხოვდა თანაგუნდელებზე - ვალენტინ ჭუბაბრიაზე და ამის შემდეგ ჭუბაბრიას გვართ გამოდის სცენაზე. საბჭოთა კავშირის მასშტაბით გუნდის წარმატებული გამოსვლების შემდეგ, 1933 წელს ახლადშექმნილი ოჯახი თბილისში გადმოდის საცხოვრებლად და მალე ელენე თბილისის აკადემიურ გუნდში მღერის კოტე ფოცხვერაშვილის თაოსნობით. აქ იგი ავქსენტე მეგრელიძის მიერ ჩამოყალიბებულ მეჩონგურეთა ანსამბლის სოლისტიც ხდება. ეს უკანასკნელი ანსამბლი საუკეთესოდ იქნა მიჩნეული 1934 წელს ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაზე, სადაც 61 კოლექტივი მონაწილეობდა. ამის შემდეგ მეჩონგურებმა წარმატებული გასტროლებით მოიარეს მთელი საქართველო და საბოლოო ჯამში 80-მდე კონცერ-

ტი ჩაატარეს. მეჩონგურეთა ანსამბლი ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნეეს მოსკოვში ჩატარებულ რადიოფესტივალზეც. მეჩონგურეთა ანსამბლის 16 სიმღერა ფონოჩანანერებზეც აღბეჭდეს. განსაკუთრებული წარმატება ელენე ჭუბაბრიას მეჩონგურეებთან ერთად მოსკოვში 1937 წლის ქართული ხელოვნების დეკადაზე ხვდა წილად, სადაც მას, ნოკო ხურციასთან ერთად, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისგან განსაკუთრებული ჯილდო — „საპატიო ნიშნის“ ორდენი ხვდა წილად.

ელენე ჭუბაბრია 40-იან წლებში აქტიურად მოღვაწეობს რადიოკომიტეტის ხალხურ მომღერალთა ანსამბლში. მის შემდეგ იგი ქალაქური სიმღერების შემსრულებელ მცირერიცხოვანი ანსამბლის სოლისტადაც გვევლინება 50-

იანი წლების ბოლოდან ელენეს ნამღერი „იავნანა“ საქართველოს რადიოს გადაცემაში „ძილისპირული“ ყოველ დღე ისმოდა. თუმცა 1950 წლიდან - მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ელენე ჭუბაბრიამ მიატოვა აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება.

ელენე ჭუბაბრია გარდაიცვალა 1979 წლის 2 დეკემბერს.

ელენე ჭუბაბრიამ მეტად დასამახსოვრებელი ხმიერი ჩანახატი დაგვიტოვა ფილმებში „დარიკო“, „ნარინჯის ველი“, „ქეთო და კოტე“, „თავადის ქალი მათა“. მისი სწორუპოვარი შესრულებით აჟღერებული მეგრული და გურული სიმღერები დღესაც ატკბობს მსმენელის სმენას.

მეგრული სიმღერის მასწავლებლად აღიარეს

ნიკოლოზ ხვიციანი




მომღერალი, ლოტბარი ხვიციანი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე დაიბადა 1905 წელს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფელში. მუსიკალური ნიჭი მშობლებისაგან გაემოჭყვია.

ნიკოლოზის ბაბუა ახალსოფლის ეკლესიის წინამძღვარი იყო, კარგად იცოდა ქართული საგალობლები. პატარა კოლია სამი წელი სამრევლო სკოლაში დადიოდა და სიმღერა-გალობას მაქსიმე ვეკუასთან ეუფლებოდა. 1916 წელს ნიკოლოზ ხვიციანი ზუგდიდის პირველდანყებითი სასწავლებლის მოსწავლეთა გუნდში ჩაირიცხა, რომელსაც გალაქტიონ ჭელიძე ხელმძღვანელობდა. 1920 წელს კოლია ქუთაისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში გადავიდა და გიმნაზიის გუნდში გამოცდილი პედაგოგისა და ლოტბარის მიხეილ შარაბიძის ხელმძღვანელობით განაგრძო სიმღერა. გიმნაზიის დამამთავრებელ კლასში რომ იყო, მეგრული სიმღერის პატრიარქმა ძუკუ ლოლუამ ქუთაისში კოოპერაციის სახლში ქართული ეთნოგრაფიული გუნდი ჩამოაყალიბა და კოლია სოლისტად მიიწვია. 1924-25 წლებში ნიკოლოზ ხვიციანი დამოუკიდებლად იწყებს სალოტბარო მოღვაწეობას და ქუთაისის მაზრის ფიზკულტურის ბიუროსთან აყალიბებს გუნდს. 1925 წელს

თბილისში ირიცხება სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. პარალელურად, იმავე წელს, საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან გუნდს აყალიბებს. ერთხანს კოლია ხვიციანი სამედიცინო ინსტიტუტის გუნდსაც ხელმძღვანელობდა, თან თხუთმეტი წელი ძუკუ ლოლუას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტიც იყო. 1941 წელს საქართველოს რადიოკომიტეტში მის მიერ ჩამოყალიბებულ ვოკალურ ანსამბლში მღეროდნენ: ელენე ჭუბაბრია, კოტე გოგიჩაძე, ნოკო ჩაჩიბაია. ისინი შესანიშნავად ასრულებდნენ ქალაქური ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებს გიტარის თანხლებით (გიტარაზე უკრავდა გიორგი ესებუა). 1951-54 წლებში თერჯოლის რაიონში გადაიყვანეს, სადაც ძველი იმერული სიმღერები მოიძია: სოფელ რუფოთში ჩაწერა „ნადური“, რომელიც ხუთ-ექვს კაცს ახსოვდა. 1957 წელს ანსამბლ „შვიდკაცას“ ხელმძღვანელმა ჟანსუდ კახიძემ ნიკოლოზ ხვიციანი მეგრული სიმღერების მასწავლებლად მიიწვია. კოლია ხვიციანი წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის მუსიკალურ გადაცემათა რედაქციაში. მნიშვნელოვანწილად სწორედ მას უნდა ვუმაღლოდეთ, რადიო-ტელევიზიის არქივში უნიკალური და მრავალფეროვანი მასალა რომაა დაცული: მას სხვადასხვა სოფლიდან და რაიონიდან ჩამოჰყავდა ფოლკლორული კოლექტივები და მათგან იწერდა ამ უნიკალურ ნიმუშებს. ნიკოლოზ ხვიციანი 1975 წელს, სამსახურში, თავის მაგიდასთან გარდაიცვალა. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

„ოქიოს სანძისი“ და ძვერი კორხეთის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა ანუ ხა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი



**თანამედროვე არგონავტებმა
სტარტი 1984 წლის 3 მაისს
საბერძნეთის ქალაქ ვოლოსში –
ანტიკურ იოლკოსში აიღეს. სწორედ
აქედან დაიწეს თავის მოგზაურობა
იასონმა და მისმა მეგობრებმა.**

წურნალი „სამაგრალო“ იწყებს სერიულ გაშუქებას ერთი მთად საინტერესო ისტორიული ფაქტისა, რასაც „ტიმ სევერინის“ საქართველოში მოგზაურობა ჰქვია, ეს იქნება ოქროს საწყობის მაქიანული არგონავტების ისტორიული ფაქტის გამყარება და ყველაზე მეტი, მისი ისტორიული ფასეულობის ძიება. ვისაუბრებთ 3300 წლის წინ შაქლოთ თუ არა ოიკუმენის კოლხეთის სანავიროსთან მივლინათ. ამ და სხვა საინტერესო დეტალებს არგონავტებისა და „არგონ“ მოგზაურობის შესახებ მომდევნო ნომრებიდან შეიტყობთ.

ისტორიულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებში (არქეოლოგია, ეთნოლოგია, მიგრაციათა თეორია და სხვა.) ამ ბოლო ათწლეულებში ფართოდ გავრცელებულა ისტორიულ მოვლენათა და პროცესთა აღწერასთან ერთად მათი ექსპერიმენტული ვერიფიკაცია, რაც გულისხმობს ექსპერიმენტულ და ლაბორატორიულ პირობებში გარკვეული ისტორიული მოვლენის ან არქაული ტექნოლოგიური პროცესის შეძლებისდაგვარად გამეორება-რეპროდუცირებას. ხალხთა უძველეს ეთნიკურ, გადანაცვლებათა და მოძრაობათა შესწავლის შემთხვევაში სავარაუდო მიგრაციების ექსპერიმენტულ ვერიფიცირებას წარმოადგენს ამგვარ მიგრაციათა და მოძრაობათა გზებისა და მარშრუტების გამეორება სათანადო კულტურულ-ისტორიული და ტექნოლოგიური პირობების დაცვით. ამის კლასიკური მაგალითი იყო ტურ ჰეიერდალის წყნარი ოკეანით მოგზაურობა პერუდან პოლინეზიის არქიპელაგ ტუამოტუმდე ტივით „კონ-ტიკი“. ძველი ბერძენი „არგონავტების“ კოლხეთში ისტორიული მოგზაურობის ამგვარივე ისტორიულ ვერიფიცირებას წარმოადგენდა, აგრეთვე, ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოში ტიმ

სევერინისა და მისი ჯგუფის ჩამოსვლა არქაული ხომალდით.

ტიმ სევერინის ამ ექსპედიციამ „არგონავტების“ ნაკვალევზე ეჭვიმუტანელი გახადა ამგვარი ექსპედიციის შესაძლებლობა უძველეს დროს, ე.ი. ძვ. წელთაღრიცხვის მეორე ათწლეულის მეორე ნახევარში, რომლითაც თარიღდება „არგონავტების მითში“ მოთხრობილი ამბები. თუმცა „ახალი დროის არგონავტების“ ამ ისტორიულმა ექსპედიციამ ვერ გაარკვია (და ამას იგი, ალბათ, ვერც გაარკვევდა) ერთი არსებითი საკითხი - ბერძენი „არგონავტების“ დროინდელი კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკური და ენობრივი შედგენილობა. დღემდე აზრთა სხვაობას იწვევს საკითხი, თუ რა მოსახლეობა დახვდათ ისტორიულ კოლხეთში იქ მისულ ბერძნებს, რა ენაზე ლაპარაკობდა დამხვდური კოლხური მოსახლეობა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა ენაზე მეტყველებდნენ კოლხეთის ანუ აია-ქვეყნის მეფე აიეტი და მისი შვილები. თვით ბერძნულ მითში და მის შედარებით გვიანდელ გადმოცემებში არ არის დასახელებული პირდაპირ არც ერთი ადგილობრივი სიტყვა, რომელიც მიგვანიშნებდა კოლხური მოსახლეობის ენობრივ

ვინაობას, ხოლო ბერძნულ გადმოცემაში მოცემულ ადგილობრივ მკვიდრთა სახელები ამის საშუალებას არ იძლევა, ვინაიდან მათ არ ეძებნებათ რამდენადმე დამაჯერებელი ეტიმოლოგიები, რომლებიც ამ სახელებს ეჭვმიუტანლად რომელსამე ენას მიაკუთვნებდა.

მაგრამ „არგონავტების მითოსის“ ბერძნულ ტექსტში ერთი სიტყვა მაინც შეიძლება დავადასტუროთ, რომელიც, როგორც ჩანს, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადგილობრივი კოლხური მოსახლეობის ენობრივ კუთვნილებას და მიგვითითებს, თუ რა ენაზე მეტყველებდა ხალხი აია-ქვეყნისა, სადაც გავრცელებული იყო ოქროს სანმისის კულტი, დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში დღემდე რომ არის შემორჩენილი ცხვრის ტყავის განსაკუთრებული საკულტო მნიშვნელობის სახით. ეს სიტყვა თვით „ოქროს სანმისის“ ბერძნულ სახელწოდებას წარმოადგენს, „ოქროს სანმისის“ და საერთოდ, „ცხვრის ტყავის“ აღსანიშნავად.

არგონავტების მითის ტექსტში და საზოგადოდ, ბერძნულში იხმარება $\chi\alpha\alpha\zeta$ რომელიც უფრო არქაული $\chi\alpha\upsilon\zeta$ ფორმისაგან მომდინარეობს. უძველესი ხანის ბერძნულში, რომელიც ცნობილია მიკენური ბერძნულის სახელწოდებით (ძვ.წ. XV-XIII), დასტურდება **ko-wo** საზოგადოდ „ტყავის“ მნიშვნელობით. მაშასადამე, ამ უძველესი ბერძნული სიტყვის ფუძე „ტყავის“, „ცხვრის ტყავის“ და „(ოქროს) სანმისის“ მნიშვნელობით აღდგება $k\acute{o}\nu$ -ფორმის სახით, ამ სიტყვას ბერძნულში არ ეძებნება ინდოევროპული შესატყვისები და ბერძნულისთვის უცხო ენობრივი სამყაროდან შეთვისებულად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ სავსებით ბუნებრივი ჩანს „სანმისის“ ანუ „ცხვრის ტყავის“ აღმნიშვნელი უცხოური სიტყვა იმ ენობრივი სამყაროდან მიმდინარედ მივიჩნიოთ, რომელთანაც ბერძნებს უძველესი დროიდან კონტაქტები და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ და სადაც „ცხვრის ტყავს“ განსაკუთრებული საკულტო მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ თვალსაზრისით **k\acute{o}\nu** („ცხვრის ტყავის“) სიტყვის შეფასება აყენებს პირველ რიგში ამ სიტყვის ურთიერთობის საკითხს ქართულ-ქართველურ, ტყავ-/ტყოვ-//ტკოვ- სიტყვასთან ამავე მნიშვნელობით. ქართული ტყავ-ი სიტყვის დასავლურ-ქართველი, ზანური ანუ მეგრულ-ლაზური ვარიანტი უნდა ყოფილიყო ძველად ტყოვ-/ტკოვ- ფორმა (თანამედროვე მეგრული ტყებ-ი, ლაზური ტკებ-ი „ტყავი“ ამ უძველეს ფორმათა შემდგომი ცვლილებების შედეგად არის მიღებული). სწორედ ეს ქართველური ანუ მეგრულ-ლაზური ტყოვ-/ტკოვ-სიტყვა „ტყავის“ მნიშვნელობით გამოიყენეს კოლხეთში მოსულმა ბერძნებმა იმ სპეციფიკური „ცხვრის ტყავის“ აღსანიშნავად, რომელსაც ამ ქვეყანაში განსაკუთრებული საკულტო და რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდა, რაც შემდგომ ასე ხატოვნად აისახა ბერძნულ მითში არგონავტების მოგზაურობის შესახებ „ოქროს სანმისის“ ქვეყანაში.

თვით ფორმის თვალსაზრისით, სავსებით ბუნებრივია, რომ დასავლურ-ქართველური, ზანური *ტყოვ-/*ტკოვ-სიტყვა „(ცხვრის) ტყავის“ მნიშვნელობით ბერძნებმა სწორედ $\chi\alpha(f)\alpha\zeta$ ფორმის სახით გადაიღეს და თავკიდური, ბერძნულისთვის არაბუნებრივი ტყ-/ტკ- თანხმოვანთჯგუფი კ- თანხმოვნად გაამარტივეს, ისევე როგორც დასავლურ-ქართული (მ)ტკუარ-II(მ) ტკუარ-სახელი მდინარე „მტკვრის“ აღსანიშნავად ბერძნებმა გამარტივების შედეგად კურ- ფორმით გადაიღეს (შ.დ.რ. რუსული kyra, რომელიც მდინარე „მტკვრის“ სახელწოდების ბერძნულ ვარიანტს ემყარება).

ამრიგად, სავარაუდოა, რომ „ოქროს სანმისის“ და საერთოდ „ტყავის“ აღსანიშნავად ბერძნები საკუთრივ ბერძნული „ $\delta\acute{\epsilon}\nu\alpha$ “ (შდრ. თანამედროვე ტერმინი „დერმატოლოგია“) სიტყვის გვერდით იყენებენ უცხო ენობრივი სამყაროდან შემოსულ $\chi\alpha(f)\alpha\zeta$ სიტყვას. ამ სიტყვის შეთვისება ბერძნების მიერ, ბუნებრივია, სწორედ იქ უნდა მომხდარიყო, სადაც ცხვრის ტყავის კულტი იყო გავრცელებული არქაულ ეპოქაში, ე.ი. კოლხეთსა და ისტორიული დასავლეთ-საქართველოს სხვა რეგიონებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქ ბერძნების მოსვლის ეპოქაში სწორედ დასავლურ-ქართველური დიალექტები იყო გავრცელებული, მეგრულ-ლაზურის წინაპარი „ზანური“ დიალექტი, რომელზედაც „ტყავი“ აღინიშნებოდა *ტყოვი/*ტკოვი სიტყვებით.

ეს სიტყვა „ტყავისა“ და „სანმისის“ აღსანიშნავად ბერძნებმა კოლხეთიდან ალბათ „არგონავტებზეც“ უფრო ადრე წაიღეს, კერძოდ, მათი პირველივე კონტაქტების დროს კოლხეთის მკვიდრ მოსახლეობასთან, როდესაც არქაული ბერძნული ტომები ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასაწყისში მოძრაობას იწყებენ წინა აზიაში ინდოევროპულთა საერთო სამშობლოდან, დასავლეთის მიმართულებით, ეგეოსის ზღვის კუნძულებისა და პელოპონესისაკენ. ამ მიგრაციების პროცესში ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ისინი, როგორც ჩანს, სამხრეთ კავკასიასაც აღწევენ, კერძოდ, ისტორიულ კოლხეთს და აქ კონტაქტებს ამყარებენ ადგილობრივ დასავლურ-ქართველურ ტომებთან.

შეიძლება დავასკვნათ, რომ აია-ქვეყნის მეფე აიეტი და მისი მემკვიდრენი, გრძნეული მედეა და მისი ძმა აფსირტოსი, აგრეთვე კოლხეთის მოსახლეობის, ყოველ შემთხვევაში, ერთი ნაწილი, რომელთანაც უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ მოსულ ბერძნებს (სხვა შესაძლებელ ნაწილებზე ჩვენ არავითარი პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება), დასავლურ-ქართველურ დიალექტზე მეტყველებდნენ, რომლის დღევანდელი გაგრძელება ჩვენთვის ცნობილია მეგრულისა და ლაზურის სახით.

გამოდის რომ „არგონავტებს“ ბერძენი გმირის მეთაურობით კოლხეთში ძვ. წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში ეთნიკურად იგივე მოსახლეობა დახვდა, დაახლოებით იმავე ენებზე, მეტყველი, რაც ჩვენს დროში „ახალ არგონავტებს“ ბრიტანეთის მკვიდრ ტიმ სევერინის მეთაურობით...

დაბრუნებულნი საუნჯე

1918 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა იზიარა, საქართველო ახალ ცხოვრებას იწყებდა. თუმცა ხანმოკლე ალონდამ მისი დამოუკიდებლობა.

1921 წელს რუსეთის მიერ ანექსიის შედეგად ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს მთავრობასთან ერთად დატოვა სამშობლო და განძს მეთვალყურედ გაჰყვა ემიგრაციაში. გახიზნულმა მთავრობამ თან წაიღო საქართველოს განძი, რომელშიც შედიოდა საქართველოს მუზეუმებში დაცული ძვირფასეულობა: ოქრო-ვერცხლის ხატიები და თვალ-მარბალით მოოჭვილი სხვა საგანძური, ძვირფასი ხელნაწერები, ზუზდიდის დადიანისაული სასახლის განძეულობა, გელათის, მარტვილისა და სხვა-დასხვა მონასტრებიდან წამოღებული ნივთები. მიუხედავად იმისა, რომ განძის მესაკუთრედ საქართველოს მთავრობა ითვლებოდა, ფაქტობრივად განძს ექვთიმე თაყაიშვილი მიუჩვენებოდა. განძი სულ 39 ყუთი იყო, ექვთიმეს იგი მარსელის განძში ჰქონდა შენახული. განუზომელია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქარველი ერის საგანძურის გადასარჩენის საქმეში. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს დაუბრუნა ეროვნული საუნჯე.



ჟურნალი „სამეგრელო“ პერიოდულად გიამგოვთ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაბრუნებული საგანძურის შესახებ.



ტბეთის ოთხთავი


ტბეთის ოთხთავი გადაწერილია 1161 წელს ტბეთის ეპისკოპოსის პავლე მტბევარის დაკვეთით, გიორგი III მეფობის ხანაში. ანდერძში პავლე წერს: „დავანერე ესე ოთხთავი სრული და უნაკლულო კარგითა და მართლითა ზანდუკითა და კანონთა სალოცველად ღმრვი გრგნოსანთა მეფეთა დიმიტრი გამზრდელისა ჩემისა და გიორგი ძისა მათისა...“ ხელნაწერი ნუსხა-ხუცურითაა შესრულებული, თითოეულ სახარებას წინ

უძღვის მინიატურა მახარებლის გამოსახულებით. ოთხთავის ტექსტი გადაწერილია იოვანე ფუკარალისძის მიერ, მისი ანდერძი მოთავსებულია სახარების ბოლო გვერდებზე: „წმიდანო ყოველნო, რომელნი აღწერილ ხართ ზანდუკსა ამას შინა ელითა ჩემ ცოდვილისა იოვანე ფუკარალისძისათა, მეოხ ეყვენით წინაშე ქრისტესა წმიდა მამადმთავარსა პავლე მტბევარსა. ამინ იყავნ, ამინ“. ტბეთის სახარება ვერცხლის მოჭედილ ყდაშია ჩასმული; მოჭედილობის დამკვეთია იოვანე მტბევარ-საფარელი, რასაც გვამცნობს ყდის ზურგზე არსებული წარწერა. მოჭედილობა უფრო მოგვიანებით უნდა იყოს შესრულებული, მაშინ როდესაც მოიჭედა წყაროსთავის ოთხთავი (1195 წელი), ამ ოთხთავის ყდის დამკვეთიც იოვანე მტბევარ-საფარელია. ყდის წინაპირზე გამოსახულია „ჯვარცმის“ კომპოზიცია, ზურგზე კი — მაცხოვარი, პეტრე და პავლე მოციქულები; მაცხოვრისა და მოციქულთა

კომპოზიცია იშვიათად გვხვდება შუასაუკუნეების ხელოვნების ძეგლებში, სახარების ყდაზე კი ეს ერთადერთი შემთხვევაა, არა მარტო საქართველოში, არამედ სხვაგანაც.

მარტვილის ჯვარი

მარტვილის მღვდელმთავრის გულსაკიდი ოქროს ჯვარი (14,3X10სმ), სანაწილე, VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება. შიგნით მოთავსებულია „ძელი ჭემმარიტის“ ჯვარი; შემკულია ძვირფასი თვლებით



და მარგალიტებით. ჯვრის წინა მხარეზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით ხელში, მკლავებზე ოთხი მახარებლის — მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე — წელზედა ფიგურებია, ისინი ამოკვეთილია ოქროზე და მიმაგრებულია ოქროს ფონზე. ჯვრის მეორე მხარეს გამოსახულია „ჯვარცმა“, ქრისტეს მარჯვნივ ღვთისმშობელია ყრმით, მარცხნივ იოანე მახარებელი, ზემოთ და ქვემოთ მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი. ფიგურების შარავანდედი და ჯვარი შესრულებულია მინანქრით. მარტვილის სანანილე ჯვარი ხელოვნების შედეგს წარმოადგენს.

მარტვილის მეორე, მღვდელმთავრის გულსაკიდი ჯვარი X საუკუნეს განეკუთვნება (13, 1X9,4 სმ). შიგნით ინახება წმიდანთა ნაწილები. წინაპირზე მინანქრის ჯვარია შუაში ძვირფასი თვლით, ზურგზეც ოქროს ჯვარის მაგვარი ფირფიტაა შუაში მდიდრული ქვით. ჯვრის გარშემო განთავსებულ მინანქრის რვა ჩარჩოდან მხოლოდ სამში არ ზის (დაკარგულია) ძვირფასი ქვა. ჯვრის მკლავებზე გამოსახულნი არიან: ზემოთ ღვთისმშობელი, ქვემოთ იოანე ოქროპირი, გვერდებზე წმ. დიმიტრი და წმ. ნიკოლოზი. მათგან მხოლოდ იოანე ოქროპირია გამოსახული მთელი ტანით.

ალავერდის ოთხთავი

ალავერდის ოთხთავი გადაწერილია 1053 წელს კონსტანტინეპოლში, წმინდა ღვთისმშობლის ლავრაში, ბაგრატ (IV) აფხაზთა მეფის ბიზანტიაში ყოფნის დროს. სავარაუდოდ, ოთხთავის გადამწერიანი არიან XI საუკუნის კალიგრაფები — მიქელ და გიორგი დვალეები; სხვა მოსაზრებით, მისი გადამწერი იოანე დვალისა; მისი ხელით უნდა იყოს გადაწერილი ავგაროზ მეფის აპოკრიფული ამბავი ალავერდის ოთხთავში. დვალეები



შესანიშნავ კალიგრაფთა რიცხვს მიეკუთვნებიან. მათი გადაწერილია აგრეთვე სვინაქსარი (1049 წ.), წმინდა ბასილის ცხოვრება (1055 წ.), ჟამნი, იოანეს სახარების თარგმანების ანდერძი და სხვა.

ბიჭვინთის სატი

ბიჭვინთის ღვთისმშობლის სატი შესრულებულია XVI საუკუნეში და ამ პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ცენტრში გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით, ზემოთ მარცხნივ და მარჯვნივ მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები, ქვემოთ — იოანე ნათლისმცემელი და იოანე ოქროპირი. ღვთისმშობლის გამოსახულებას გარშემო ასომთავრული წარწერა შემოუყვება. წარწერა არის ხატის ზურგზეც, საიდანაც ვგებულობთ, რომ სატი ოქროთი და ძვირფასი



ქვებით შეუმკია აფხაზეთის კათალიკოსს ევდემონ ჩხეტიძეს და დაუსვენებია ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძარში 1568 წელს. წარწერაში იხსენიებიან ოდიშის მბრძანებელი მამია III დადიანი და ლევან I მამიას ძე დადიანი.



ენქერი

ენქერი საეკლესიო ნივთია, რომელსაც სამღვდლო პირნი იყენებენ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია XVIII ს-ში შესრულებული ნაქარგობის შესანიშნავი ნიმუში. მისი შემსრულებლის ვინაობას გვამცნობს ზედ არსებული წარწერა: „ვენახო ჭემმარიტო ქრისტე რომელმან განიწყალე ღვინო სიხარულისა მისა ძალით კვალად გვაგენ პირველისა სამკვიდრებელსა ხოლო მე უღირსმან ორბელის შვილის ასულმან და მეფის იესეს თანამეცხედრემან მარიამ შევკერენ მოსახსენებლად ხელმწიფისა ჩვენისა სულთათვის“. ენქერის შუა ნაწილში გამოსახულია იესო ქრისტე, კუთხეებში ქერუბინებით, მთელი არე კი ყურძნის მტევნებით, ვაზის ტოტებით და ფოთლოვანი ორნამენტითაა დაფარული. კომპოზიცია მაღალოსტატურადაა შესრულებული.

ახალი თეატრი და აღფრთოვანებული მაყუჩებელი

ჩვენი ჟურნალის მკითხველს ალბათ ახსოვთ, იანვრის თვეში ამ სათაურით დაბეჭდილი წერილი თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრის შექმნის და მოღვაწეობის შესახებ.

წერილის სათაურს უბრალოდ არ ვიმეორებთ: თეატრი ჯერ ისევე ახალია და მაყურებელი მართლაც აღფრთოვანებული.

2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერში თბილისში გაიმართა თეატრალური ფესტივალი. თეატრის შემოქმედებითაა ჯგუფმა ფესტივალზე წარადგინა ქორეოგრაფიული სპექტაკლი „გრაფიტაცია“.



ფესტივალზე მოწვეული იყვნენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი თეატრმცოდნეები. შემოქმედებითაა ჯგუფმა ნამდვილად მიიპყრო მათი ყურადღება, რასაც მოწმობს მათ მიერ გაკეთებული კომენტარები და წერილები.

ეს დიდი სტიმული იყო შემოქმედებითი ჯგუფისათვის და თეატრმა ახალი ენერჯით განაგრძო მუშაობა.

თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრი ანხორციელებს რიგით მესამე შემოქმედებით პროექტს. ქორეოგრაფიული წარმოდგენა შედგება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი რეალისტური ამბებისგან, რომლის ამოქმედება ქმნის იმპულსის განსაკუთრებულ შეგრძნებას.


წარმოდგენა შედგება შემდეგი თემატიკის მიხედვით – მისწრაფება, სიყვარული, რისხვა, რწმენა, ალტკინება, გაოცება, შიში, სიკვდილი, სიცოცხლე.

იდეის ავტორი და დამდგმელი ქორეოგრაფი — **თინიკო ქოიავა**. მუსიკის ავტორი — **სანდრო ნიკოლაძე**. მხატვარი — **ლევან კვარაცხელია**.

მონადილოვანი: ამირან ქაჩიბაია, ირაკლი ბიგვავა, თენგიზ ზარდიაშვილი, ანრი მამედოვი, ქეთი ელიკაური, მარიამ ცირდავა, მარი გელაშვილი, ლაშა რჩეულიშვილი, ვახო ალექსანიანი და ასევე ამავე თეატრის სკოლის მოსწავლეები.

ქორეოგრაფიული წარმოდგენა „იმპულსი“ ხორციელდება სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის თანადგომით და ქ. თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ვიმედოვნებთ, რომ გავამართლებთ მაყურებლის მოლოდინს.



6-7 ივნისს, საღამოს 19.00 საათზე, გელოდებით მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინო - მსახიობთა თეატრში.

ნინო კახიანი
თეატრის პიარ - მენეჯერი



კლინიკური მედიცინის სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტი ფ. თოდუას სამედიცინო ცენტრი

საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი სამკურნალო-დიაგნოსტიკური დაწესებულებაა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურით. ინსტიტუტი აღიარებული ღირებულებაა რადიოლოგიის და ქირურგიის მთელ რიგ მიმართულებებში. დაარსდა 1991 წელს. იგი ქვეყნის სტაბილურ დაწესებულებაა რადიოლოგიის დარგში.



კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით მუშაობას კოორდინაციას უწევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულებაა: დაავადებათა ადრეული კომპლექსური დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

**საქართველო, თბილისი - 0122.
თავდორა ვლადიმერ ქ. 13.**

ტელ: 995 (32) 294-02-89

995 (32) 234-81-19

Fax: 995 (32) 234-49-23

www.clinicalmedicine.ge



გაბტიელ ღატჯანია